# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 18 აპრილი 2002 №68 (1590) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

უკრაინა — საქართველო. სერგეი რებროვი და ალექსანდრე რეხვიაშვილი

# რა მოხდა გუშინ?

## უკრაინა 2:1 საქართველო

გასაოცნებელი და ჯერ არ ნახული — არაფერი. მართალია, ინგლისელმა არბიტრმა მაიკ რილიმ ყოვლად გაუგებარი მიზეზით არ ჩათვალა ფრანგთა გოლი რუსთა კარში, მაგრამ ჯანდაბას, მატჩი ამხანაგური იყო და ამ არჩათვლილი გოლით ფსონის საფრანგეთის მოგებაზე ჩასულებმა თუ იზარალეს. კიდევ, ლუქსემბურგი ლიხტენშტაინთან პირველ ტაიმს სამი ბურთით აგებდა და ბოლო წუთებზე გაათანაბრა, მაგრამ მსაჯის უხეში შეცდომისა არ იყოს, წარმოუდგენელი ამაშიც არაფერია.

თუმცა ნუ შევყვებით ლუქსემბურგ — ლიხტენშტაინ — მალტა — აზერბაიჯანზე ლაპარაკს, რაკი გუშინ ევროპაში ბევრად საყურადღებო მატჩები ჩატარდა და რაც ჩვენთვის მთავარია, ითამაშა საქართველოს ნაკრებმაც. თან ზემოთ ბოლო წუთებზე გატანილი გოლი ვახსენეთ, რაც უსიამოვნო გრძნობას იწვევს — უკრაინელებმა გამარჯვების გოლი სწორედ შეხვედრის მიწურულს, წამატებულ დროში გაგვიტანეს, მაგრამ ეს ოქმის ენით, ისე კი

### საქართველოს ნაკრებმა თამაში ბოლო წუთზე გაშვებულ გოლამდე წააგო

კეთილი, დავუშვათ არბიტრს მატჩისთვის ერთი წუთით ნაკლები დაემატებინა და შესაბამისად, არც ის საჯარიმო გაეტანათ უკრაინელებს და მატჩი ფრედ დასრულებულიყო. მაგრამ ამით რა, საქართველოს ნაკრებს კიევური ფრე წარმატებად უნდა ჩათვლოდა? წარმატება არ შეიძლება დარქმეოდა იმას, რომ

### საქართველოს ნაკრებმა ტაიმნახევარი მეტოქის კარისკენაც ვერ დაარტყა

მაგრამ არც ეს არის მთავარი, ბოლოს და ბოლოს, გუშინ გერმანიის ნაკრებს ტაიმნახევარი კი არა, ორი ტაიმი, თავისი წამატებული ხუთი წუთით, ერთხელაც არ დაურტყამს არგენტინელთათვის. მთავარი აქ იმის განსაზღვრა უნდა იყოს, საქართველოს ნაკრებმა უბრალოდ ერთი კონკრეტული თამაში ჩააგდო თუ უხეიროდ თამაში მისთვის კანონზომიერებაა.

ამის გასარკვევად კი ნაკრების წინა თამაშები უნდა გავიხსენოთ. წინა თამაშებში ეროვნული გუნდი, რაც ალექსანდრე ჩივაძე თავკაცობს, არ დამარცხებულა, მაგრამ ის თამაშები ან ამხანაგური იყო ან სატურნირო ვითარების გათვალისწინებით, ნაკლებ პრინციპული. ჩვენ კი ვიცით, თუ საქართველოს ნაკრებს ევრო 2004-ზე სურს წასვლა, პრინციპულ შეხვედრებში უნდა დაამარცხოს ძლიერი მეტოქეები, რაც სავალალოდ, ჩვენს ეროვნულ გუნდს არასდროს, ვერცერთი მწვრთნელის ხელში ვერ მოუხერხებია!

ამიტომაც მწვრთნელის ან ფეხბურთელები დაძრახვა უკრაინასთან ამხანაგური მატჩის წაგების გამო სწორი არ იქნება, ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ საქართველოს ნაკრები არ ჰგავს იმ გუნდს, შესარჩევ ჯგუფში რუსეთს და ირლანდიას რომ დაამარცხებს. და თუ გუშინ საფრანგეთ — რუსეთის შეხვედრა ნახეთ, ადვილად დარწმუნდებით, რომ

### ასე მოთამაშე რუსების დამმარცხებლები ჩვენები ლიტვასთან, უნგრეთთან, რუმინეთთან, სამხრეთ აფრიკასთან და მით უმეტეს, უკრაინასთან ნაჩვენები თამაშით არ არიან

და ისე რომ არ გამოგვივიდეს, თითქოს მხოლოდ ცუდს ვეძებთ და მხოლოდ ცუდს ვხედავთ, დავძენთ, რომ ჩივაძისეული ნაკრები წინამორბედს სჯობს, მაგრამ ცუდზე უკეთესი ყოველთვის არ ნიშნავს კარგს.

საქართველოს ნაკრებზე ლაპარაკისას საფრანგეთი და გერმანია ვახსენეთ და სხვა ბობოლებსაც გადავწვდით. ინგლისმა და ესპანეთმა ქვა ქვაზე არ დატოვეს პარაგვაისგან და ჩრდილოეთ ირლანდიისგან. ოლსტერელები რა ხვითოებიც არიან მოგეხსენებათ და ესპანელთა მათზე ზეობა რა გასაკვირია. ხოლო ინგლისს მეტოქედ მისებრ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალი გუნდი ჰყავდა და ოთხი გოლი დევიდ ბექჰემის პასებისა და საჯარიმოების გარეშე გაუტანა, რითაც ერთხელაც დაგვანახა, რომ

### შეუცვლელი არავინაა, შესაცვლელებს ჯიუტად არ უნდა წყალობდე



REUTERS

ინგლისი — პარაგვაი 4:0. სტუმრებს პირველი მასპინძელთა ახალმა კაპიტანმა მაიკლ ოუენმა (№10) უთავაზა

# ამხანაგური მატჩები

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

### ირლანდია

**ირლანდია 2:1 აშშ**

1:0 კინსელა (6), 1:1 პოპი (34), 2:1 დოჰერტი (83)
ირლანდია: გივენი, ფინანი (ტ. კელი 46), ჰარტი (სტონტონი 46), ე. ობრაიენი (კანინგემი 46), ბრინი (დოჰერტი 70), ჰოლი, დილაპი, კინსელა (მოლანდი 46), დაფი (კონოლი 46), რობი კინი (კ. მორისონი 84), კილბეინი (რიდი 46)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
აშშ: ფრიდელი (კელერი 46), ბერჰალტერი (ვანეი 46), ჯ. ობრაიენი (ე. ლუისი 46), ე. სტიუარტი (დონოვანი 46), კ. რეინა (მეიდჯუკი 70), მეტისი (ვოლფი 64), აგოსი, არმასი, მაკბრაიდი (ჯ. მური 46), სანე, პოპი
მწვრთნელი: ბრიუს არენა
მსაჯი: ფილიპ ლეუბა (შვეიცარია)
39 000 მაყურებელი

### რუსეთი

**საფრანგეთი 0:0 რუსეთი**

საფრანგეთი: ბართეზი, ტურამი, ლებეფი (კრისტანვალი 46), დესაი, ლიზარაზუ (კანდელა 78), ვიეირა, ე. პეტი (მიკოსხიანი 62), ჯორკაეფი (მარლე 62), ზიდანი, ანრი, ანელკა (მიკუ 82)
მწვრთნელი: როჟე ლემერი
რუსეთი: ნიგმატულინი, დაევი, ნიკიფოროვი, სენიკოვი, სმერტინი, იზმაილოვი, ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბესჩასტნიხი (სიჩევი 66)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
გაფრთხილება: კარპინი, კანდელა, ნიკიფოროვი
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
80 000 მაყურებელი

### ალბანეთი

**ანდორა 2:0 ალბანეთი**

1:0 გონსალესი (34პ), 2:0 ხიმენესი (64)
ანდორა: ქ. ალვარესი, ფ. რამირესი, ჩემა (ესკურა 89), ხ. ფერნანდესი, ტ. ლიმა, ი. ლიმა, ემილიანო გონსალესი (ჟ. სილვა 63), ხული სანჩესი (სორია 87), მ. ხიმენესი (სონასა 55), სონეიე, რუისი (მოლი 85)
ალბანეთი: ბექაი, ლალა, ნ. დედე, ჯუპმა, ფაკაი, ბ. ჰასი (ბექირი 84), მურატი, ჯუპი (მუჩაკუ 54), დურო (მურტაი 58), რაკლი (ფორტუზი 58), ტარე (დობი 58)
მწვრთნელი: სულეიმან დემოლარი
გაძევება: ჯუპმა (33)
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანესი (ესპანეთი)
250 მაყურებელი



შოტლანდია — ნიგერია. აფრიკელი ჯულიუს აგაოვას მალაყი



საფრანგეთი — რუსეთი. ემანუელ პეტი და ალექსეი სმერტინი (№5) სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეიბნენ



დანია — ისრაელი. გუშინ დანიელი პოლიციელები პალესტინელ ტერორისტებს ებრძოდნენ



პორტუგალია — ბრაზილია. მატჩამდე მაყურებელმა ორი ლეგენდა, პელე და ეუსებიო იხილა

## ამხანაგური მატჩები

იაპონია 1:1 კოსტა რიკა
მაკედონია 1:0 ფინეთი
იუგოსლავია 4:1 ლიტვა
ლატვია 2:1 ყაზახეთი
უნგრეთი 2:5 ბელარუსი
პოლონეთი 1:2 რუმინეთი
სამხრეთ აფრიკა 0:0 ეკვადორი
ხორვატია 2:0 ბოსნია
მალტა 1:0 აზერბაიჯანი
თურქეთი 2:0 ჩილე
საბერძნეთი 0:0 ჩეხეთი
დანია 3:1 ისრაელი
ნორვეგია 0:0 შვედეთი
ლუქსემბურგი 3:3 ლიხტენშტაინი
სლოვენია 1:0 ტუნისი
ბელგია 1:1 სლოვაკეთი
ავსტრია 0:0 კამერუნი
გერმანია 0:1 არგენტინა
იტალია 1:1 ურუგვაი
ინგლისი 4:0 პარაგვაი
ჩრდ. ირლანდია 0:5 ესპანეთი
შოტლანდია 1:2 ნიგერია
პორტუგალია 1:1 ბრაზილია

### ახალგაზრდულები

უნგრეთი — ბელარუსი 1:1; პოლონეთი — რუმინეთი 2:0; ბულგარეთი — ისრაელი 3:0; ჩეხეთი — თურქეთი 1:1

### პოლონეთი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

პოგონი 1:3 რადომსკო (0:1)



## ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 17 აპრილი

**F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ულკერ გრიინი 87:78 კინდერი | რეალი 92:109 ოლიმპიაკოსი |

# ჩივაძის სარკოფაგები და ბურდულის ზღაპარი

დავით თავართქილაძე

**ალექსანდრე ჩივაძეს** არასდროს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ის ხელმეორედ მაშინ დანიშნეს ნაკრების დამრიგებლად, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული გუნდისთვის უცხოელი სპეციალისტის მოწვევას დაგვპირდა, მაგრამ...

ფედერაციამ დანაპირები არ შეასრულა, ჩივაძე ფავორიტად გაიხადა და ამით ხელმეორედ გამწვრთნელებულ კაცს დამატებითი ტვირთიც აჰკიდა.

ჰოდა, ახლა კიდევ უფრო ძნელია იმის თქმა — მერე რა, რომ წავაგეთ, ეს ხომ ამხანაგური თამაში იყო და ისიც ბოლო წამებზე დავთმეთო.

ეს უფრო ალექსანდრე ჩივაძის მორიგი მატჩი იყო, რომელმაც მისი ხელმეორედ გაწვრთნილი ნაკრების ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.

ჩივაძემ არ შეიცვალა თავისებურ სარკოფაგებში დამწყვდეული შეხედულებები — ნაკრების პირველი მეკარე დავით გვარამაძეა, გიორგი ქინქლაძე და გოჩა ჯამარაული კი შეუცვლელი ამაგდარები.

მეკარის პრობლემაზე ლაპარაკი კარგა მაგრად გადაღრძუებულია. მაგრამ ალექსანდრე ჩივაძე ისეთნაირად გამეცნიერდა, რომ კარი ისევ იმას ანდო, ვისაც ფედერაციამ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშის უფლება უწყალობა — ნაკრების გოლკიპერი შუშაკის „დინამოს" ძირითადში ვერ ხვდება და სადმე ხომ უნდა გაიაროს სათამაშო პრაქტიკა, ასეთი კი „დინამო 2"-ია.

მაგრამ თამაშს ხომ ერთი კაცი არ აგებს?! ჰოდა, ეს კიდევ უფრო ამძიმებს ჩივაძის ტვირთს — თანაც ბატონი ალექსანდრე არ არის ის პერსონა, წაგება ერთ მოთამაშეს დააბრალოს.

ალექსანდრე ჩივაძე უცხოელი მწვრთნელის ალტერნატივაა — გინდა არ გინდა, ასეა და მისი იალიშებიც ერთიორად ფასობს.

ნაკრების თავკაცმა მეკარის შეცვლა ვერ გაბედა. არადა, მეკარეს ამხანაგურ მატჩში მხოლოდ შეცდომის გამო ხომ არ ცვლიან? სხვასაც ხომ უნდა თამაში და კარში დგომა?

ჩივაძემ ამ შემთხვევაშიც უცნაური, გაუგებარი პრინციპულობა, ალბათ, უფრო სიჯიუტე გამოიჩინა, თუმც ვინ იცის, იგი ხომ უცხოელი სპეციალისტის ჯიუტი ალტერნატივაა...

ტაიმნახევარი საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მეტოქის კარში კი არა, კარის მიმართულებით ვერ დაარტყა, მაგრამ ეს არ იყო საქართველოს ეროვნული გუნდი, ეს ახლანდელი ჩივაძის გუნდი გახლდათ — აქამდე ასეთი რამ არ მომხდარა და იმიტომ.



ნაკრებში დაბრუნებულმა ალექსანდრე ჩივაძემ პირველი თამაში წააგო

სად იყო დარტყმის ზონამდე ბურთის მიტანა, რაც პირველ რიგში ქინქლაძისა და ჯამარაულის ვალდებულებაა?

ჩივაძის სარკოფაგებშია ესეც — ქინქლაძემ და ჯამარაულმა აუცილებლად სასტარტოში უნდა ითამაშონ, კონკურენცია მათ ნაკლებად ან სულ არ უნდა შეეხოს, იმიტომ, რომ ერთი ქინქლაძეა და მეორე ჯამარაული.

კი მაგრამ, უკეთესები გვყვანან მათ პოზიციაზე? აქ ჩივაძესთან დაპირისპირება ძალიან ძნელია, მაგრამ განა სამი საყრდენით არ თამაშობენ დღეს მოწინავე გუნდები?

ისიც უნდა ითქვას, რომ ერთ თამაშს არავინ უნდა გადაჰყვეს, მაგრამ ტენდენციაც არ უნდა იყოს გადამჭკნარი.

ორი ისეთი ფორვარდიც ვნახეთ, პირველ ტაიმში წინ და უკან მუშაობას რომ არ ერიდებოდნენ. კარგია შრომისუნარიანობა, მაგრამ ფორვარდს ხომ გოლის გასატანად ჯანი სჭირდება — ბოლო მომენტში ძლიერად და ზუსტად უნდა დაარტყას. თანაც, დემეტრაძე და ყაველაშვილი ზონის ჩასაკეტად უკან იხევდნენ, წინ კი ჩვენგან ფაქტობრივად არავინ რჩებოდა.

ვერ შევუტიეთ ფლანგებიდანაც. კარგა ხანია, ლევან კობიაშვილის ერთ დროს არაჩვეულებრივი გარღვევები აღარ გვინახავს. ამ ფრაიბურგელს კლუბის გამოცვლა მართებს — ეს არაერთ სპეციალისტს უთქვამს არასაგაზეთოდ. კობიაშვილმა „ფრაიბურგში" აშკარად ამოწურა საკუთარი თავი და ეს მის ნაკრებში თამაშსაც ასვამს დაღს.

გამოცანად დარჩა, რატომ შეცვალა საქართველოს მთავარსარდალმა ყაველაშვილი გივი დიდავათი. ჩვენ ხომ შეხვედრას ვაგებდით და ტორპედოელი ნაღდად არაა ისეთი ტიპის ფეხბურთელი, ასეთ დროს თამაში რომ გაამწვაოს. ჯამარაულის მოკლე პასის გამოყენებას კი ცოდნა და კლასი უნდა.

სამაგიეროდ, კარგად გამოჩნდა ის, რომ სწორედ დიდავამ აიკიდა ბოლო წამებზე საბედისწერო ჯარიმა.

და საერთოდ, ალექსანდრე ჩივაძეს ჯერ არა აქვს ფეხბურთელების „გამყიდველის" იმიჯი და ამას თვალის ჩინივით თუ არ გაუფრთხილდა, ცუდად იქნება მისი და ჩვენი საქმე.

ლადო ბურდული და ზღაპარი დარტყმა — ეს დინამოელი ჩივაძემ მიიწვია პირველად ნაკრებში და მისი გუშინ მინდორზე შეშვებით მიზანშიც ზუსტად მოარტყა. სწორედ ბურდულის შემოსვლას მოჰყვა ჩვენი ნაკრების 10-15 წუთიანი გამოფხიზლება, გოლი და ქინქლაძის მიერ გაცუდებული საგოლე მომენტი.

ბურდულის ჩინებული გოლი მრავალმხრივი დატვირთვისა რომ გამომდგარიყო, ალბათ, ეს წერილიც სხვაგვარად დაიწერებოდა, მაგრამ არა, ჩვენ წავაგეთ და პირველი გოლი ჩვენს კარში გავიდა...

გახსოვთ ალბათ, როგორ იყო გაშარჟებული ალექსანდრე ჩივაძის აღრეული ფრაზა-ცნება — პირველი გოლის ფაქტორი. და ესეც სარკოფაგში დარჩა, რადგან ხელმეორედ გამწვრთნელებულმა ჩივაძემ ისევ ისეთი მატჩი წააგო, სადაც გოლი პირველმა გაუშვა.

ბატონ ალექსანდრეს ალეკო ამისულაშვილის ნაკრებში მოწვევა ნაღდად უნდა მოვუწონოთ. ლონიერმა ბიჭმა კიევშიც აჩვენა თავისი ჯანი, შეუპოვრობა და ნიჭი.

დიდი ხეირი არც უკრაინა გამოდგა. ლეონიდ ბურიაკის გუნდს ძალიან ბევრი ხარვეზი აქვს და არც ასე მოთამაშე უკრაინას ესაქმება მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ვერც ანდრეი შევჩენკომ გაიბრწყინა ჩვეულად და საპატიო მიზეზიც აქვს — ტრავმით გამოწვეული შესვენებიდან დაბრუნებული ახლადშეჩვეულია თამაშს.

ჩივაძეს კი არც ამის თქმას დავამადლით, რომ ჩვენს ნაკრებს ბევრი წამყვანი მოთამაშე აკლდა, ხოლო უკრაინა მეორე ტაიმში, ფაქტობრივად, დუბლებით გვეთამაშა.

გუშინდელი წაგება, მიუხედავად სარკოფაგებისა, ცხადია, ტრაგედია არ არის. ჩივაძემ ხომ მეორე ჯერზე ნაკრების გაყოჩაღებული, გათამამებული მოძღვარია, ბურთი მრგვალია, ხოლო ფეხბურთი კიდევ უფრო მრგვალი, ანუ ისეთი, ხანდახან არანაირ დოგმებს რომ არ ემორჩილება — ჩვენი იმედიც, ალბათ, უფრო აქედან გამომდინარეობს.

გახსოვდეთ, თქვენ უცხოელი მწვრთნელის კონტრვარიანტს წარმოადგენთ...



გიორგი დემეტრაძე (№11) ანატოლი ტიმოშჩუკს გადაილობა

## უკრაინა 2:1 საქართველო

ამხანაგური მატჩი. 17 აპრილი. კიევი. დინამო. 21 საათი. 20 000 მაყურებელი

1:0 რებროვი (17) 1:1 ბურდული (72)
2:1 ტიმოშჩუკი (90)




შეცვლა: ყაველაშვილი – 16. დიდავა (46), შევჩენკო – 17. შიშჩენკო (50), საჯაია – 17. ბურდული (52), შოვკოვსკი – 12. რევა (53), სკრიპნიკი – 20. ხადორონკნი (58), კორმილცევი – 22. მაქსიმოვი (58), რებროვი – 21. ნაგორნიაკი (65), ვორობეი – 13. სკაჩენკო (65), ქინქლაძე – 14. ალექსიძე (70), ჯამარაული – 15. ქემოკლიძე (79), დემეტრაძე – 18. აშვეთია (81), ამისულაშვილი – 13. დარასელია (84)

მსაჯები: ლ. მიხული; ლ. სუჩი, ვ. მუხაკი (სამივე სლოვაკეთი); ს. შებეკი (უკრაინა)

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჯარიმა | 11 |
| 6 | კუთხური | 0 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 10 | კარში დარტყმა | 2 |
| 4 | თამაშგარე | 1 |

### მატჩის სტენოგრამა

**მე-6 წუთი:** მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებულს ვორობეიმ თავი დაჰკრა. გვარამაძემ გამოსვლა დააგვიანა, თუმც ბურთი ოდნავ აცდა კარს.

**მე-10 წუთი:** გუსინის შორეულ პასს შევჩენკო გამოეხმაურა, მეკარესთან პირისპირაც დარჩა, მაგრამ სველ მინდორზე ფეხი დაუცდა და სახიფათო მომენტი განიმუხტა.

**მე-13 წუთი:** ზუბოვის დაგორებულ ბურთს გუსინმა საჯარიმოს გარედან დაჰკრა. ბურთმა სანტიმეტრებით ჩაუქროლა ძელს.

**მე-17 წუთი:** რებროვმა ოციოდ მეტრიდან არცთუ ისე ძლიერად დაარტყა. გვარამაძემ ბავშვური შეცდომა დაუშვა და 1:0.

**34-ე წუთი:** საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ვორობეიმ კარგი პასი მიიღო ზუბოვისგან, თუმც მიზანი ვერ გაისწორა.

**მე-40 წუთი:** ვორობეის სახიფათოდ დარტყმული გვარამაძემ კუთხურზე მოიგერია.

**61-ე წუთი:** ჯამარაულმა მეკარესთან პირისპირ დატოვა დიდავა, რომელმაც მეკარის მოტყუება სცადა, თუმც რევამ იმარჯვა და გუნდი გადაარჩინა.

**66-ე წუთი:** ჯამარაულის შორეული დარტყმული რევამ გაჭირვებით მოიგერია.

**69-ე წუთი:** უკრაინელთა საჯარიმოში არეულობის შედეგად ბურთი ხელსაყრელ სიტუაციაში მყოფ ქინქლაძეს მიუვიდა, მაგრამ მას დარტყმა გაუცუდდა.

**72-ე წუთი:** ჯამარაულის შორეულ პასს ბურდულმა მშვენიერი აბრაგანი ამოჰკრა. ბურთი რევას კარის შორეულ კუთხეში ლამაზად ჩაეშვა — 1:1.

**82-ე წუთი:** შიშჩენკოს თავური დარტყმა გვარამაძემ მოიგერია.

**83-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს მაქსიმოვმა თავი შეაგება. ბურთი კარდაკარგულ გვარამაძეს შემთხვევით მოხვდა და სახიფათო მომენტიც ამით განიმუხტა.

**90-ე წუთი:** დიდავა მეტოქესთან ორთაბრძოლაში დაჯარიმდა. ჯარიმიდან ჩაწოდებულზე ტიმოშჩუკმა ყველას დაასწრო და თავით შორეულ კუთხეში გაიტანა — 2:1. გვარამაძემ კარიდან გამოსვლა დააგვიანა, მცველები კი უძლურნი აღმოჩნდნენ.

იყიდება
გაზ–2107 თეთრი ფერის, 1990 წელს გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში.
ტელ: 39-48-29 (11.00 19.00); 69-89-56 (საღამოს)
ჰაკა


Coca-Cola
FIFA WORLD RANKING

# მარტის ხუთიანები

## სამხრეთ აფრიკამ საქართველო დააწინაურა

**ფიფას** მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში საქართველოს ეროვნული ნაკრები 55-ეა მსოფლიოში. ეს მაჩვენებელი სარეიტინგო ამბავში სარეკორდოა ჩვენში. აქამდე შინდისფერთა უმაღლესი მიღწევა 57-ე ადგილი იყო.

ფიფა-კოკა-კოლას წინა რეიტინგი 2 მარტს გამოქვეყნდა. ქართველები მაშინ მე-60 ადგილზე იყვნენ, მას შემდეგ კი სამხრეთ აფრიკა გვესტუმრა და სწორედ მათთან გამარჯვების წყალობითაა, ქართველები რომ აღზევდნენ.

„ევრო 2004"-ის შესარჩევში ჩვენი მეტოქეები ირლანდია, რუსეთი და ალბანეთი თავ-თავიანთ პოზიციებზე დარჩნენ, შვეიცარიელებმა კი სამი პუნქტით გაიუარესეს სარეიტინგო ვითარება.

ბობოლებზეც ვთქვათ. ადგილები გაცვალეს ბრაზილიამ და არგენტინამ. ამ უკანასკნელის დაქვეითება უელსთან ნათამაშევმა ფრემ განაპირობა, თუმც ბრაზილიელთა უპირატესობა უმნიშვნელოა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ფრანგები ძველებურად ერთპიროვნულად ლიდერობენ. თითო საფეხურით აინაცვლეს კოლუმბიამ და პორტუგალიამ, იტალიამ კი მეოთხე ადგილი დაკარგა, ათეულს მიღმა აღმოჩნდა გერმანიის ნაკრები.

არ იქნება, ბოლოს პაპუა-ახალი გვინეა არ ვახსენოთ, მარტის ლაურეატად სწორედ ამ ქვეყნის ნაკრები დასახელდა, რაკილა ერთბაშად 16 საფეხურით აღზევდა. კუნძულელები დღესდღეობით 180-ე ადგილით იწონებენ თავს.

**ბაატა ძგანტალიანი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | 1 | 810 |
| 2 | ბრაზილია | 3 | 787 |
| 3 | არგენტინა | 2 | 786 |
| 4 | კოლუმბია | 5 | 731 |
| 5 | პორტუგალია | 6 | 726 |
| 6 | იტალია | 4 | 722 |
| 7 | მექსიკა | 8 | 715 |
| 7 | ესპანეთი | 7 | 715 |
| 9 | ჰოლანდია | 9 | 714 |
| 10 | იუგოსლავია | 11 | 702 |
| 11 | ინგლისი | 11 | 698 |
| 12 | გერმანია | 10 | 697 |
| 13 | აშშ | 13 | 694 |
| 14 | ჩეხეთი | 14 | 678 |
| 14 | პარაგვაი | 15 | 678 |
| 16 | რუმინეთი | 17 | 673 |
| 17 | შვედეთი | 16 | 671 |
| 18 | კამერუნი | 19 | 670 |
| 18 | ირლანდია | 18 | 670 |
| 20 | დანია | 19 | 660 |
| 20 | ურუგვაი | 22 | 660 |
| 24 | რუსეთი | 24 | 650 |
| 55 | საქართველო | 60 | 561 |
| 65 | შვეიცარია | 62 | 532 |
| 96 | ალბანეთი | 96 | 453 |

I გრაფა — ადგილი, II გრაფა — ქვეყანა,
III გრაფა — ადგილი წინა თვეში, IV გრაფა — ქულა

# მცხეთელებმა ბელარუსში არ გამაზეს

**საქართველოს** რეგიონალლიგის აღმოსავლეთ ზონის ლიდერი „მცხეთა" სამმა ფეხბურთელმა — ბესიკ და დავით ჭილლაძეებმა და გიორგი ფურცელაძემ — დატოვა. ისინი ბელარუსის უმაღლესლიგელ მინსკის „ტორპედო-მაზში" ისინჯებოდნენ და ერთწლიან კონტრაქტსაც მოაწერეს ხელი. 19 წლის ბესიკ ჭილლაძეს, 17 წლის დავით ჭილლაძესა და 19 წლის გიორგი ფურცელაძეს „ტორპედო-მაზში" კიდევ ორ ქართველთან — ქრისტეფორე შატაკიშვილთან და სულიკო კაკაბაძესთან ერთად მოუწევდათ თამაში, თუმც ბელარუსებმა ასე არ ისურვეს. შატაკიშვილი და კაკაბაძე გუნდიდან გაუშვეს, ჰოდა, მათაც სხვა კლუბებს შეაფარეს თავი — ქრისტეფორე პირველლიგელ მინსკის „დარიდაში" გადაბარგდა, სულიკო კი ნოვოპოლცკის „ნეფტანისთვის" გაირჯება.

აქვე გეტყვით, რომ ბელარუსის ჩემპიონატი ეს-ესაა დაიწყო და პირველ ტურში „ტორპედო-მაზმა" შინ 1:0 სძლია გროდნოს „ნემანს".

**კახა ზალამბერიძე**

საქართველოს ჩემპიონატი, მეორე ლიგა
# 26 ტური

### აღმოსავლეთი

მაუდი — მრეტები 2:1; ზოოვეტი — მესხეთი 2:0; მერანი 3 — თბილისი 2:2; ლიახვი — კრწანისი 2:1; მცხეთა — ჭაბუკიანი 3:1; დინამო 3 — ცხუმი 3:0; ოლიმპიკი — ალაზანი 2:0; ვიტ ჯორჯია 2 — აკადემია 5:1; ივერია — ჯავახი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 26 | 20 | 4 | 2 | 60:13 | 64 |
| ივერია | 26 | 18 | 2 | 6 | 70:35 | 56 |
| მაუდი | 26 | 17 | 4 | 5 | 39:20 | 55 |
| ალაზანი | 25 | 17 | 2 | 6 | 55:24 | 53 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 26 | 13 | 8 | 5 | 57:23 | 47 |
| ზოოვეტი | 26 | 15 | 1 | 10 | 53:32 | 46 |
| ცხუმი | 25 | 13 | 6 | 6 | 51:23 | 45 |
| ოლიმპიკი | 26 | 13 | 6 | 7 | 50:28 | 45 |
| ჭაბუკიანი | 25 | 11 | 9 | 5 | 40:25 | 42 |
| მესხეთი | 25 | 12 | 3 | 10 | 33:36 | 39 |
| აკადემია | 25 | 10 | 7 | 8 | 38:35 | 37 |
| ლიახვი | 26 | 11 | 1 | 14 | 37:49 | 34 |
| დინამო 3 | 26 | 9 | 6 | 11 | 36:37 | 33 |
| გორდა 2 | 25 | 7 | 7 | 11 | 32:36 | 28 |
| კრწანისი | 25 | 5 | 3 | 17 | 29:56 | 18 |
| თბილისი | 26 | 4 | 6 | 16 | 33:75 | 18 |
| მერანი 3 | 26 | 3 | 4 | 19 | 18:68 | 13 |
| მრეტები | 26 | 1 | 6 | 19 | 23:52 | 9 |
| ჯავახი | 25 | 0 | 1 | 24 | 17:114 | 1 |

„ჯავახი" მოხსნილია ჩემპიონატიდან

### დასავლეთი

სამტრედია — ბათუმი 2 4:1; ინტერი — მერცხალი 0:0; კოლხეთი 2 — სოხუმი 2:0; სქური — სამეგრელო 2:1; საირმე — სულორი 0:3; ჩიხურა — გურია 2 1:0; სალხინო — მეტალურგი 2 0:1; ლუკა — ზუგდიდი 4:3; მადაროელი — ოკრიბა 2:1; გზები — ეგრისი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 26 | 22 | 0 | 4 | 68:25 | 66 |
| მერცხალი | 25 | 20 | 3 | 2 | 58:15 | 63 |
| ზუგდიდი | 26 | 19 | 3 | 4 | 59:27 | 60 |
| საპოვნელა | 26 | 17 | 5 | 4 | 76:28 | 56 |
| მადაროელი | 25 | 17 | 1 | 7 | 59:33 | 52 |
| გურია 2 | 25 | 13 | 4 | 8 | 58:29 | 43 |
| ინტერი | 26 | 12 | 3 | 11 | 40:41 | 39 |
| კოლხეთი 2 | 26 | 10 | 8 | 8 | 37:30 | 38 |
| სალხინო | 26 | 12 | 1 | 13 | 39:40 | 37 |
| სქური | 26 | 10 | 7 | 9 | 39:45 | 37 |
| გზები | 26 | 10 | 3 | 13 | 31:37 | 33 |
| ეგრისი | 26 | 10 | 1 | 15 | 45:50 | 31 |
| საირმე | 26 | 9 | 3 | 14 | 25:35 | 30 |
| ბათუმი 2 | 26 | 9 | 2 | 15 | 26:48 | 29 |
| ლუკა | 25 | 8 | 3 | 14 | 33:60 | 27 |
| ჩიხურა | 26 | 8 | 2 | 16 | 27:59 | 26 |
| მეტალურგი 2 | 26 | 7 | 3 | 16 | 27:48 | 24 |
| ოკრიბა | 26 | 6 | 1 | 19 | 26:62 | 19 |
| სამეგრელო | 26 | 5 | 2 | 19 | 33:64 | 17 |
| სოხუმი | 26 | 3 | 7 | 16 | 25:55 | 16 |

# დალიე კოკა-კოლა და დაისვენე 12 თვე

**ძალიან** ნაცნობი სცენარი — 1985 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ტურნირი, დედაქალაქური „შევარდენი" ქუთაისში „იმერეთის" სტუმარია. წინასამატჩო ვითარება იოლი წარმოსადგენია. ალბათ, სულ „სიყვარულით და დიდი მოკითხვებით" შეხვდნენ ერთმანეთს. „იმერეთი" პირველადგილოსანია, „შევარდენს" პრიზიორობის შანსი აქვს. ფეხბურთის ფედერაციის დანიშნული მსაჯი ქუთაისში არ ჩადის, არც ერთ-ერთი თანამსაჯი ჩანს და მატჩის გაძღოლა მეორე თანამსაჯ ზვიად გურგენიძეს ევალება. ის ზვიადი თურმე წელიწადზე მეტია, თამაშიდან თამაშზე დროშის ფრიალით დადის, მთავარი არბიტრი არც მანამდე ყოფილა და არც მერე... მოკლედ, არ ეწერა იმ მატჩს დასრულება, მით უფრო, რომ გურგენიძის დამხმარეებად ადგილობრივი გუნდის მოთამაშეების მშობლებიდან ორი გამოწვეულა.

გუშინდელ სადისციპლინო კოლეგიაზე მსაჯი გურგენიძეც მოვიდა, „შევარდენის" წარმომადგენლებიც იყვნენ ფედერაციისაც, მაგრამ არ იყვნენ ქუთაისელები და საკითხის განხილვაც სამერმისოდ გადაიდო. ფედერაციის შესაბამისი სამსახური მოითხოვდა, „შევარდენს" წაგება ჩაეთვალოსო. თბილისელთა პრეზიდენტ მალხაზ გუგავასა და მწვრთნელ სოსო ჭედიას ნაამბობის მიხედვით კი თამაშის ჩაშლის მიზეზი სტუმარი კი არა, მსაჯია, რომელმაც მასპინძელთა ზეწოლას ვერ გაუძლო. მსაჯი ამბობს, მე ცამდე მართალი ვარ, „შევარდენის" კარში პენალტიც სამართლიანად დავნიშნე, მაგრამ სტუმრებმა აღარ დამაცადესო...

მატჩის ფირი, რა თქმა უნდა, არ არსებობს. ყველა თავისას ამტკიცებს და ვინ იცის, საითაა სიმართლე?! ისე ერთიცაა, 1985 წელს დაბადებული ფეხბურთელი რომელი ბავშვია, საკითხავია.

17 წლის იყო შიფო და თბილისში მოსკოვის „სპარტაკს" ბურთი თავზე დაახიაო — გაიხსენა ომარ გოგიაშვილმა.

თქვენ 1958 გაიხსენეთ, პელემ საბჭოეთის ნაკრები რომ ტანჯა, განა 17-სა არ იყოო — სიტყვა ჩაურთო გოგი დემეტრაძემ.

ცოტა ხანში „იმერეთ" — „შევარდენი" აღარავის ახსოვდა. თურმე ბოლნისში „სიონ" — „ყაზბეგის" მატჩისას მსაჯ არსენ ნონიკაშვილს მასპინძელთა მეკარე დიმიტრი ჯმუხაძე გაუძევებია. თამაშის შემდეგ მსაჯთა ბრიგადა „ყაზბეგის" მიკროავტობუსით თბილისისკენ თითქოს მშვიდობით გამომგზავრებულა, მაგრამ მეავე წყლებთან ყელის გასასვლელად გაჩერებულ ნონიკაშვილს უეცრად ჯმუხაძე გამოცხადებია. ჯერ კოკა-კოლას ბოთლი მხარში ჩამცხო და მერე მესროლაო — წერს პატაკში დაზარალებული მსაჯი.

ჯმუხაძემ ხმის ამოღება დააპირა, მაგრამ ომარ გოგიაშვილმა ისეთი „შეუნთო", რომ ყველაფრის ხალისი დაუკარგა. მერე გაირკვა, თურმე მსაჯი და მეკარე მეავე წყლებთან შემთხვევით გადაყრიან ერთმანეთს. თურმე ორივეს ერთდროულად მოსწყურდა. „სიონის" მეკარემ თავი იმართლა, ოჯახში პრობლემები გვქონდა და ვერც ვაკონტროლებდი, რა გავაკეთეო. ამან ცოტა უფრო მოულბო დისციპლინარების გული და დაუწესეს 12-თვიანი დისკვალიფიკაცია „აკმარეს".

ბოლოს უმაღლესლიგელთა საქმეებისთვისაც მოიცალეს — ლოკომოტიველი გელა ქორიძე ერთი თამაშით და 50-ლარიანი სასჯელით გავიდა ფონს. „დინამო" — „ლოკომოტივის" მატჩისას ორი გაფრთხილებით გაძევებულს დებულების მიხედვით მეტიც არ ეკუთვნოდა, მაგრამ დისციპლინარებს ისიც გაახსენდათ, რომ ბოლო ხანებში ქორიძის საკითხი რამდენჯერმე გაარჩიეს და გადაწყვიტეს, ფეხბურთელიც და მისი კლუბიც უკანასკნელად გაეფრთხილებინათ. მსგავსი თუ კიდევ ერთხელ განმეორდება, მაშინ ქორიძე სერიოზულ სანქციებს ვერ გადაურჩებაო.

თითო თამაში აკმარეს ტორპედოელ ვალერი აბრამიძეს და ფოთელ კახა გოროზიას. მათ 7 აპრილს ქუთაისში ერთმანეთზე გაიწიეს და მსაჯმა შილაკაძემაც ორივე გააძევა. დებულების მიხედვით, ორივეს ორი თამაშით დასვენება და ასლარიანი ჯარიმა მოუხდებოდა, მაგრამ რახან მხოლოდ ერთმანეთს დასცხეს და სხვისთვის არაფერი დაუშავებიათ, ეს ვაკმაროთო — გამოიტანეს ვერდიქტი დისციპლინარებმა.

„ბათუმის" ფორვარდ პაატა მაჭუტაძეს კი არ გაუმართლა — ფოთში მსაჯ კახა მესხისთვის უგინებია და გაუძევებიათ კიდეც. ორი თამაში და ასი ლარი ჯარიმა. დებულებით ორიდან ოთხ მატჩამდე ეკუთვნოდა, მაგრამ რაკი ადრე მაჭუტაძის საქმე თითქმის არა განეხილათ, მინიმალური სასჯელი აკმარეს.

გუშინ ლმობიერი იყო სადისციპლინო კოლეგია.

**გამუკა ძგანტალიანი**



ლოკომოტიველ გელა ქორიძეს (№25) „დინამოსთან" აყალმაყალი არ შერჩა


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»



საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯეიმი გადედაქალაქელდა




ჯეიმი რედნაპი და გლენ ჰოდლი

„ლივერპულის" ოდინდელმა კაპიტანმა ჯეიმი რედნაპმა მერსისაიდული კლუბი დატოვა და „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" გააფორმა ოთხწლიანი კონტრაქტი. 28 წლის ფეხბურთელის გადაწყვეტილებას ორი ძირითადი მოტივი ჰქონდა. ერთი რომ, „ლივერპულთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა და თავისუფალ აგენტად იქცა და მეორეც, ბოლო ხანს ძალიან იშვიათად თამაშობდა ჟერარ ულიეს გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რაც კაცმა რომ თქვას, მოუშუშებელი ტრავმების გამო უფრო იყო.

ისიც ვთქვათ, რომ რედნაპი, ახლანდელ ლივერპულელთაგან კლუბს ყველაზე მეტ ხანს — 11 წელიწადი ემსახურა.

„ჩემს კარიერაში ახალი ეტაპი დაიწყო. იმედი მაქვს, მოვლენები სასიკეთოდ განვითარდება და „ტოტენჰემს" გამოვადგები" — თქვა რედნაპმა, რომელსაც ორჯერ ჩაუტარეს სამედიცინო შემოწმება, სანამ ლონდონურ კლუბში ჩარიცხავდნენ.

კარიერის მანძილზე რედნაპს ორჯერ ჰქონდა უმძიმესი ტრავმა. პირველად ევრო 96-ზე დაშავდა და კარგა ხნით ვერ შეძლო თამაში. ჯანმრთელობის პრობლემის გამო გამოტოვა ევრო 2000-იც. ასევე მძიმედ დაშავდა შარშან, რის გამოც „ლივერპულის" ძირითადი შემადგენლობიდანაც ამოვარდა და ინგლისის ნაკრებშიც დაკარგა ადგილი, თუმცა ახლა საბოლოოდ გამოჯანმრთელებულა, რაკილა ლონდონურმა კლუბმა მისი აყვანა გადაწყვიტა.

ჯეიმის „ლივერპულთან" ძველი კონტრაქტი შარშან დაუსრულდა, თუმც მაშინ კიდევ ერთი სეზონით დარჩა კლუბში იმ იმედით, ფორმაში ჩავდგები და ძირითადშიც დავიბრუნებ ადგილსო. მაგრამ „ლივერპულში" რედნაპის პოზიციაზე არაერთი ძლიერი ფეხბურთელი გამოჩნდა — დენი მერფი, სტივენ ჯერარდი და დიტმარ ჰამანი, რის გამოც მისთვის ადგილი არა და არ გამოიძებნა.

ცნობისთვის, რედნაპი „ლივერპულმა" 1991 წელს „ბორნმუთისგან" 7,5 მილიონ გირვანქად იყიდა და „ვესტ ჰემის" ყოფილი თავკაცის, ჰარი რედნაპის ვაჟი გახლავთ.

**ნიკა შუბლაძე**



დევიდ და ვიქტორია ბექჰემებმა დიდძალი ფული ბატიოსანი შრომით იშოვეს

# კაპიკს კაპიკს დავადებთ, გადავასწრებთ ნასიმს

**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ის უბრალოდ შეუცვლელია და ამ ამბავში რაღაც რეიტინგში მისი განაწილება უბრალოდ აბსურდია; საჯარიმოების შესრულების განხრით ის მსოფლიოს პირველ ხუთეულში ნაღდად შედის, ფლანგიდან პარტნიორის თავზე ან ფეხზე (გააჩნია აუცილებლობას) ბურთის კოხტად დასმაში კი ბადალი არ ჰყავს. ეს კაცი, მიხვდებოდით, ამჟამად ფეხმოტეხილი დევიდ ბექჰემი გახლავთ.

მისი ჯანმრთელობის ამბავს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე იხილავენ; მის საფირმო ჩახუჭუჭებულ დარტყმაზე, აგერ მხატვრული ფილმი გადაიღეს; 7-ნომრიან მაისურას კი ქალი, ბავშვი, მოხუცი და ინვალიდი კი არა, ბრიტანელი ძაღლებიც (ნაღდი, ოთხფეხა) კი ატარებენ.

თუმცა ეს რაა: მისი ოჯახის ჯერჯერობით ყველაზე უმცროსი წევრის (მეორე შვილს ელოდება), 3 წლის ბრუკლინ ბექჰემის წიგნი (ნუ გაიკვირვებთ, მასში პატარის მეტყველების პროგრესია დაფიქსირებული, ანუ ყველა ის სიტყვა და ფრაზაა დაბეჭდილი, რაც ბრუკლინმა უკვე ისწავლა) 50-ათასიანი ტირაჟით გამოვიდა და გაიყიდა კიდეც.

და მაინც, არსებობს მის მშობლიურ კუნძულზე ერთი ისეთი სია, რომელში მოხვედრაც დევიდ ბექჰემს ნატვრად ჰქონდა ქცეული — ბრიტანეთის 1000 ყველაზე მდიდარი ადამიანის სია. გადასარევი ჯამაგირისა და დუჟინი სარფიანი სარეკლამო კონტრაქტების მიუხედავად, 26 წლის დევიდი მხოლოდ წინა კვირაში განახლებულ ჩამონათვალში იხილა საზოგადოებამ: 35 მილიონი გირვანქით ინგლისის ეროვნული გუნდის კაპიტანი მომღერალ მეუღლესთან ერთად 962-ე ადგილზე აღმოჩნდა. უფრო სწორად, ეს ადგილი ბექჰემიანთ ოჯახმა ჯერ კიდევ დასაოჯახებელ მომღერალ რობი უილიამსთან გაინაწილა.

მაგრამ თუ „თეიკ ზეტის" ყოფილი სოლისტი თავის კოლეგებთან შედარებით ლამის მათხოვრად გამოიყურება (მუსიკალურ სამყაროს სერ პოლ მაკარტნი ლიდერობს 713 მილიონი გირვანქით), დევიდ ბექჰემი ახალგაზრდა (30 წლამდე) ბრიტანელი სპორტსმენი-მილიონერების სიას უდგას სათავეში. მასზე ხუთი მილიონით ნაკლები მოუგროვებია მოკრივე ნასიმ ჰამედს, დანარჩენებს კი ამათთან ჯერჯერობით არ მიესვლებათ. ისე, ამ ათეულში ბექჰემის გარდა კიდევ 6 ფეხბურთელია: მისი თანაკლუბელები რაიან გიგზი და როი კინი (13-13 მილიონით), ყოფილი თანაკლუბელი ენდი კოული („ბლექბერნი", 10 მილიონი), ორი ყოფილი ლივერპულელი — რობი ფაულერი („ლიდსი", 10 მილიონი) და სტივ მაკმანამანი (მადრიდის „რეალი", 9 მილიონი); და, რა თქმა უნდა, ევროპის წინა წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული მაიკლ ოუენი („ლივერპული", 12 მილიონი).

ორიოდ განმარტებაც: 1 გირვანქა 3 ჩვენებური ლარის ტოლფასია, ბრიტანეთის 1000 ყველაზე მდიდარი ადამიანის ჩამონათვალში კი, სანთლით კი არა, პროჟექტორით რომც ეძებოთ, იქაური აღმასრულებელი ხელისუფლების ვერც ერთ წევრს ვერ აღმოაჩენთ.

**გიგა ძოზახიძე**

# ვითამაშოთ, მაგრამ როდის?

**პრემიერლიგის** წლევანდელი გათამაშების უმთავრესი შეხვედრა „მანჩესტერი" — „არსენალი" 13 აპრილისთვის კი იყო დანიშნული, მაგრამ რადგან „მეთოფეებს" 14-ში ინგლისის ასოციაციის თასის სანახევარფინალო მატჩი ჰქონდათ „მიდლსბროსთან" და სათასო მატჩების გადატანა მიღებული არ არის, ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ პრემიერლიგური შეხვედრა 8 მაისისთვის გადაიტანა.

„მანჩესტერმა" კი თხოვნით მიმართა ფედერაციას, რომ მატჩი ერთი დღით ადრე, 7 მაისს ჩატარებულიყო, რაც „არსენალის" ხელმძღვანელობას არ მოეწონა. „4 მაისს ასოციაციის თასის ფინალი გველის „ჩელსისთან", თანაც 8 მაისის მატჩის ყველა ბილეთი უკვე შეიძინეს ჩვენმა ქომაგებმა და რა პასუხი გავცეთ მათ" — განაცხადეს „მეთოფეებმა".

ამჟამად „არსენალი" პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერია და მესამეადგილოსან „მანჩესტერს" ორი ქულით უსწრებს, თანაც თადარიგში „ვესტ ჰემთან" შეხვედრა დარჩა. „მანჩესტერი" — „არსენალის" მატჩში მასპინძლებს გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონობის შანსი ეზრდებათ, დამარცხებულებს კი შესაძლოა, მეორე ადგილიც სანატრელი გაუხდეთ.

პრემიერლიგაში „მანჩესტერს" რთული თამაშები შემორჩა. იგი 20 აპრილს „ჩელსის" ესტუმრება, 27-ში „იფსვიჩს", ხოლო 11 მაისს „ჩალტონს" მიიღებს.

„არსენალს" კი შედარებით უკეთესი კალენდარი აქვს. 20 და 24 აპრილს „იფსვიჩსა" და „ვესტ ჰემს" მასპინძლობს, 27-ში „ბოლტონს" სტუმრობს, ხოლო 11 მაისს „ევერტონს" დაუხვდება.

**ლუკა გეგეჭკორი**



„მანჩესტერი" და „არსენალი" პირველ წრეშიც სამკვდროდ შეებნენ და ახლა რა იქნება!

# ალსდეჰ, შოტლანდიავ!

## ათი მამაცი გული ორი ორგულის წინააღმდეგ

**გლაზგოურ განაბებს**, „სელტიკსა" და „რეინჯერსს" შესაძლოა, უკაცრიელ კუნძულზე ნებივრობამ მოუწიოს — შოტლანდიური პრემიერლიგის დანარჩენმა ათმა გუნდმა ითათბირა და ათივემ ხმა მისცა პრემიერლიგიდან მათ გასვლას.

გადაწყვეტილება საბოლოო ჯერ არ არის, უბრალოდ, ფაქტი დაფიქსირდა — თორმეტიდან ათ გუნდს ლიგის დატოვება სურს.

ამ ათი მეამბოხე გუნდის განმარტება კი ასეთია — რახან წინა კვირას „სელტიკმა" და „რეინჯერსმა" შოტლანდიური პრემიერლიგის (SPL) ტელეტრანსლაციებთან დაკავშირებულ გეგმებს უგანეს, ჩვენც ჩვენი ვთქვითო.

ათეულის პოზიცია „ჰართსის" თავმჯდომარე კრის რობინსონმა სააგენტო „როიტერთან" საუბრისას გააცხადა: „კლუბები უბრალოდ მოითხოვენ, რომ თავიანთი ბედი აკონტროლონ. ჩვენ გვინდა, რომ ყველა კლუბმა სამართლიანი წესებით იმოქმედოს ხმის მიცემის სტრუქტურებითა და მოგების განაწილებით".

მეამბოხეთა ბოლოდროინდელ გააქტიურებას „სელტიკისა" და „რეინჯერსის" ინგლისურ პრემიერლიგაში შესაძლო გადასვლის თემამ შეუწყო ხელი — ამ ორ კლუბს ხომ შოტლანდიური პრემიერლიგის შემოსავლიდან ლომის წილი მიაქვთ.

გლაზგოურმა ბობოლებმა ოფიციალურად ორი წლის წინ მოითხოვეს ინგლისის ჩემპიონატში ჩართვა, მაგრამ მაშინ ფიფა შეუვალი აღმოჩნდა. ახლა კი ეს საკითხი კიდევ ერთხელ ამოტივტივდა და ათეულის ბუნტისმაგვარიც მოჰყვა.

„სელტიკისა" და „რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ გაკვირვება და გაწბილება გამოხატეს მეამბოხეთა საქციელის გამო. ტელეტრანსლაციებთან დაკავშირებით ჩვენ ოდენ კონსტრუქციული და პოზიციური კამათი გავმართეთ, ირწმუნებიან „სელტიკ"-„რეინჯერსის" თავკაცები.

ჯერჯერობით ამ ბუნტისმაგვარს ესკალაცია იმანაც გაუწია, რომ SPL-ს კონტრაქტი ამ სეზონის დამთავრებისთანავე ეწურება ტელეკომპანია SKY SPORTS-თან და მისგან ჯერაც არ მიუღია წინადადება გარიგების გახანგრძლივებაზე. ეჭვებიც აქედან გაჩნდა — უახლოეს მომავალში „სელტიკი" და „რეინჯერსი" SPL-ში აღარ ითამაშებენო. ისიც უნდა ითქვას, ეს ორი გლაზგოური ბობოლა მსოფლიოს ოც უმდიდრეს კლუბს შორისაა.

თავის დროზე SKY SPORTS-მა შესთავაზა კონტრაქტის გაგრძელება SPL-ს. ტელეკომპანია ოთხი წლის განმავლობაში 68,39 მილიონ დოლარს გამოდიოდა, მაგრამ „სელტიკმა" და „რეინჯერსმა" ამაზე უარი თქვეს, SKY SPORTS-მა უფრო მეტი უნდა დაყაჩოსო.

აი, ამგვარად, ერთობ ჩახლართულადაა საქმე. მეამბოხე ათეული ახალი ტელეარხის, SPL TV-ის დაარსებას გეგმავს. „ყველა კლუბი კიდევ ერთხელ გადახედავს თავის ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ ჩვენ უკვე მზად ვართ იმისთვის, რომ ერთი-ორი წელი კიდევ გავძლოთ, სანამ ჩვენი ლიგის დონის და მის მიმართ ინტერესის გაზრდას შევძლებთ" — დასძინა ათეულის ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა წევრმა კრის რობინსონმა.

ცხადია, მის მიერ ხსენებულ ლიგაში, „სელტიკი" და „რეინჯერსი" არ მოიაზრებოდა.

**დავით თავართქილაძე**

## ბელგია

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

**ბევერსხოტი 2:2 სტანდარდი**

0:1 გუსენსი (25), 0:2 ენაკარპირი (32), 1:2, 2:2 კპაკა (35პ, 87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 31 | 19 | 10 | 2 | 79:39 | 67 |
| ბრიუგე | 31 | 21 | 3 | 7 | 68:35 | 66 |
| ანდერლეხტი | 31 | 16 | 11 | 4 | 64:34 | 59 |
| მუსკრონი | 31 | 16 | 5 | 10 | 65:35 | 53 |
| სტანდარდი | 31 | 14 | 11 | 6 | 54:35 | 53 |
| გენტი | 31 | 14 | 10 | 7 | 55:46 | 52 |
| ლოკერენი | 31 | 14 | 9 | 8 | 39:29 | 51 |
| სენტ ტრუიდენი | 31 | 14 | 4 | 13 | 44:43 | 46 |
| ბევერსხოტი | 31 | 9 | 15 | 7 | 59:46 | 42 |
| შარლერუა | 31 | 11 | 6 | 14 | 38:53 | 39 |
| ლუვენ | 31 | 10 | 8 | 13 | 35:51 | 38 |
| მოლენბეკი | 31 | 11 | 4 | 16 | 40:52 | 37 |
| ვესტერლო | 31 | 9 | 7 | 15 | 45:54 | 34 |
| ლომელი | 31 | 9 | 7 | 15 | 48:62 | 34 |
| ლიერსი | 31 | 8 | 8 | 15 | 51:60 | 32 |
| ანტვერპენი | 31 | 6 | 10 | 15 | 41:61 | 28 |
| აალსტი | 31 | 4 | 8 | 19 | 27:66 | 20 |
| ბევერენი | 31 | 2 | 8 | 21 | 30:81 | 14 |

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## G ჯგუფი: იტალია ეკვადორი ხორვატია, მექსიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ფართობი:** 283 560 კმ²
**მოსახლეობა:** 12 900 000
**დედაქალაქი:** კიტო
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1925 წელს
ფიფას წევრი 1926 წლიდან
კონმებოლის წევრი 1930 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ლუის ჩირიბოგა აკოსტა
**გენერალური მდივანი:** ფრანსისკო აკოსტა ესპინოზა
**სტადიონი:** „მოდელო" (48 000)
**მწვრთნელი:** ერნან დარიო გომესი
**კაპიტანი:** ალექს აგინაგა
**ფორმა:** ყვითელი მაისური, ლურჯი ტრუსი, წითელი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „ბარსელონა", „ელ ნასიონალი", „ემელეკი", „უნივერსიტარია", „დეპორტივო კიტო", „ევერესტი", „ესპოლი"
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 37




## არის ასეთი ქვეყანა

თუ გინდათ, მუდამ ზაფხული იყოს — წადით ეკვადორში და ზღვისპირას იცხოვრეთ. სულ გაზაფხული გნებავთ? კეთილი და პატიოსანი — მიბრძანდით ეკვადორში და ოკეანის დონიდან 2500 მეტრზე ამაღლდით. მათ კი, ვისაც სითბოს ატანა არ შეუძლია, მოვახსენებთ: ეკვადორს გაივლის პლანეტის უგრძესი მთაგრეხილი, წოდებული ანდებად, რომლის მწვერვალთა სიახლოვეს მარადიული ზამთარი ბუდობს. ეკვადორზე წელიწადის დროები სრული ფორმალობაა, რადგან ქვეყანას ეს სახელი მდებარეობის მიხედვით დაერქვა და სიმბოლურად დედამიწის აბსტრაქტულ ქამარს, ესე იგი ეკვატორს გამოსახავს, რომელიც დედაქალაქ კიტოდან ოდნავ ჩრდილოეთით გადის და ეკვატორზე, მოგეხსენებათ, სულ ერთნაირი ამინდია.

ეკვადორი ევროპული ექსპანსიიდან შედარებით სალად გამოვიდა. ესპანელების შთამომავლები და ინდიელები ჯერ კიდევ ბოლომდე არ არეულან და ქვეყანაში ოფიციალური ენა ორია: ესპანური და კეჩუა, რომელზეც ანდებში ჯერ კიდევ ტომებად მცხოვრები ინდიელები ლაპარაკობენ. ინდური კოლორიტი დედაქალაქშიც ძლიერად იგრძნობა, ხოლო გალაპაგოსის კუნძულელების სულ სხვა კოლორიტზე ალბათ ლაპარაკი ზედმეტია. „ზოოლოგიურ სამოთხეში" მოხვედრილ ჩარლზ დარვინის ტვინში უცებ მოიხაზა ახალი ჭკვიანური თეორიის კონტურები, რომელსაც პოსტკომუნისტურ საქართველოში და ბევრგან სხვაგანაც ამრეზით უჭვრეტენ.

**დავით გულუა**



# საიქიოდან აზიაში

**ჩახედეთ** მსოფლიოს ჩემპიონატის სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ტურნირის საბოლოო ცხრილს და მიხვდებით, რატომ აღიარა ფიფამ 2001 წლის გუნდად ეკვადორის ნაკრები. ფანტასტიკა — ასეც შეიძლება ეწოდოს ერნან დარიო გომესის გუნდს. ამ ყოველივეს შემოქმედი კი სწორედ 48 წლის კოლუმბიელი სპეციალისტია, რომელმაც ისე გაითქვა სახელი, სამხრეთ ამერიკაში თვით ალექს ფერგიუსონსაც ადარებენ.

ვითომ დიდი არაფერი: კლასიკური 4-4-2 სისტემით ათამაშებს გომესი ეკვადორელებს, სადაც უმთავრესი როლი შუახაზელებს ეკისრებათ. ორი საყრდენად ირჯება და იმავდროულად მეტოქის შეტევის ჩაშლა ევალებათ, განაპირა ჰავბეკებს კი შეტევის დროულად, ორგანიზებულად წამოწყება და მოკლე პასებით თავდამსხმელების — აუგუსტინ დელგადოსა და ივან კავიედესის მომარაგება.

დაცვა. გომესს ყველაზე უფრო მაინც უკანა ხაზი აღარდებს, თუმცა ამას ფეხბურთელთა გამოუცდელობით ხსნის.

ეკვადორელთა უდიდესი წარმატება კოპა ამერიკაზე ორჯერ მოპოვებული მეოთხე ადგილია, ახლა კი მსოფლიოს ჩემპიონატზე იბურთავებენ.

თავისი ლიდერი ეკვადორსაც ჰყავს, თანაც ერთბაშად სამი: 33 წლის კაპიტანი ალექს აგინაგა და ფორვარდები — აუგუსტინ დელგადო-ივან კავიედესი. გომესის ნაკრების კოზირი ტექნიკა, სისწრაფე და გუნდური თამაშია.

ახლა ცოტა ერნან დარიო გომესზეც ვთქვათ.

გითხარით, გომესი კოლუმბიელი კაცია-მეთქი, სხვათა შორის, ერთობ დაფასებულიც. მას უფრო ახლო წარსულის, ოთხი წლის წინანდელი გადასახედიდან ვიცნობთ, როცა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე მშობლიურ ნაკრებს მოძღვრავდა.

თავის მეორე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კი ერნან დარიო გომესის გზა, მართლაც რომ ეკლიანი გამოდგა. შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, ეკვადორის ნაკრებმა წააგო და მავანმა ვაიგულშემატკივარმა, უფრო სწორად თუ ვიტყვით, ბოროტმოქმედმა, კაფეში მჯდარ გომესს ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა აუტეხა. დაჭრილი მწვრთნელი საავადმყოფოში გააქანეს, გონზე მოსულმა კოლუმბიელმა კი ყველას გასაგონად, ამაყად განაცხადა: „მე გავიყვან ეკვადორს მსოფლიოს ჩემპიონატზე".

სიტყვის კაციც ეგ ყოფილა, ვერ აასრულა თუ?

რას გვიქადის ეკვადორი კორეა-იაპონიაში? „იტალია ჯგუფის ფავორიტია, მექსიკას და ხორვატიას დავეჭიდებით, თამაში ყველასთან შეიძლება, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით" — ამბობს კაპიტანი აგინაგა. იგი მექსიკის ჩემპიონატში თამაშობს და საკმაოდ წარმატებითაც, მას მექსიკის ჩემპიონატების ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ტექნიკურ ფეხბურთელად მიიჩნევენ.

22 წლის ივან კავიედესი ახლა ბარსელონას „ესპანიოლის" ღირსებას იცავს, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, კლუბში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს და გოლებიც ხშირად გააქვს.

„ორი წლის წინ ასეთ წარმატებაზე ვერც ვიოცნებებდით. მერწმუნეთ, ბიჭებს არც სჯეროდათ, რომ ოდესმე მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებდნენ, ეს საოცრებაა" — უთქვამს გომესს შარშან, 14 ნოემბრის ღამეს, როცა პატარა ეკვადორმა თვით დიდი ბრაზილია ცხრილში უკან მოიტოვა.

**გიორგი გუზაძიძე**



დარიო გომესმა ეკვადორი მსოფლიოს გააცნო

## ოპტიმალური შემადგენლობა




## განრიგი

**3 ივნისი**
საპორო (იაპონია) 15.30 საათი
„საპორო დომე"
ეკვადორი – იტალია

**9 ივნისი**
მიაჯი (იაპონია) 10.30 საათი
„მიაჯი სტადიუმი"
ეკვადორი – მექსიკა

**13 ივნისი**
იოკოჰამა (იაპონია) 15.30 საათი
„იოკოჰამა ინტერნეიშენალ სტადიუმი"
ეკვადორი – ხორვატია

*მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით*

## გზა მსოფლიოსკენ

**შესარჩევი ეტაპი**

29.03.00
ეკვადორი 2:0 ვენესუელა
26.04.00
ბრაზილია 3:2 ეკვადორი
03.06.00
პარაგვაი 3:1 ეკვადორი
29.06.00
ეკვადორი 2:1 პერუ
19.07.00
არგენტინა 2:0 ეკვადორი
25.07.00
ეკვადორი 0:0 კოლუმბია
16.08.00
ეკვადორი 2:0 ბოლივია
03.09.00
ურუგვაი 4:0 ეკვადორი
08.10.00
ეკვადორი 1:0 ჩილე
15.11.00
ვენესუელა 1:2 ეკვადორი
28.03.01
ეკვადორი 1:0 ბრაზილია
24.04.01
ეკვადორი 2:0 პარაგვაი
02.06.01
პერუ 1:2 ეკვადორი
15.08.01
ეკვადორი 0:2 არგენტინა
05.09.01
კოლუმბია 0:0 ეკვადორი
06.10.01
ბოლივია 1:5 ეკვადორი
07.11.01
ეკვადორი 1:1 ურუგვაი
14.11.01
ჩილე 0:0 ეკვადორი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 18 | 13 | 4 | 1 | 42:15 | 43 |
| ეკვადორი | 18 | 9 | 4 | 5 | 23:20 | 31 |
| ბრაზილია | 18 | 9 | 3 | 6 | 31:17 | 30 |
| პარაგვაი | 18 | 9 | 3 | 6 | 29:23 | 30 |
| ურუგვაი | 18 | 7 | 6 | 5 | 19:13 | 27 |
| კოლუმბია | 18 | 7 | 6 | 5 | 20:15 | 27 |
| ბოლივია | 18 | 4 | 6 | 8 | 21:33 | 18 |
| პერუ | 18 | 4 | 4 | 10 | 14:25 | 16 |
| ვენესუელა | 18 | 5 | 1 | 12 | 18:44 | 16 |
| ჩილე | 18 | 3 | 3 | 12 | 15:27 | 12 |

## ტიტულები

კოპა ამერიკა მეოთხე ადგილი (2): 1959, 1993
მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

სამშაბათს და შაბათს კოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკევს: კოეფიციენტებს პლუს ექვსი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით მოწინავე 23-ის სტატისტიკა კოეფიციენტებითურთ.

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

## გერმანია. პირველი ბუნდესლიგა. 2001-02. XXXII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტები | | | 1/X | 1/2 | X/2 | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.04.02 | 23.00 | 001 | 1:2კიოლნი; ლაუტერნი1:1; 2:4მიუნხენი ხტ. პაული V ჰამბურგი ლევერკუზენი1:1; 0:2შალკე; ბაიერნი0:0 | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,4 | 3:4 : | - | - | - |
| 20.04.02 | 18.30 | 002 | 0:0შტუტგარტი; გლადბახი3:3; ფრაიბურგი2:0 კოტბუსი V მიუნხენი ფრაიბურგი5:2; 1:2დორტმუნდი; ხტ. პაული4:2 | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 | 0:1 | 2:3 1:0 | - | - |
| 20.04.02 | 18.30 | 003 | 2:1ნიურნბერგი; ვერდერი2:2; 0:0ჰამბურგი ბაიერნი V ჰერტა ჰანზა1:0; 3:1ვოლფსბურგი; 1:3გლადბახი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 | 1:2 | 4:1 3:1 | 3:1 1:1 | 0:1 1:1 |
| 20.04.02 | 18.30 | 004 | 0:3ვერდერი; ჰამბურგი2:0; 1:1კიოლნი შალკე V ნიურნბერგი ბაიერნი1:2; 0:1ჰანზა; ვოლფსბურგი3:0 | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 | 3:0 | - | - | 2:2 0:3 |
| 20.04.02 | 18.30 | 006 | 1:1ჰამბურგი; კიოლნი2:0; 4:2ლაუტერნი ლევერკუზენი V ვერდერი შალკე3:0; 2:2ბაიერნი; ჰანზა4:3 | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 | 1:2 | 3:3 3:0 | 3:2 3:1 | 2:2 2:0 |
| 20.04.02 | 18.30 | 008 | 0:1ლაუტერნი; მიუნხენი2:1; 2:3შტუტგარტი დორტმუნდი V კიოლნი ხტ. პაული2:1; 0:2ლევერკუზენი; შალკე1:1 | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 | 2:0 | 0:0 3:3 | - | - |
| 20.04.02 | 18.30 | 010 | 2:0გლადბახი; ჰერტა1:3; 0:3ნიურნბერგი ვოლფსბურგი V ჰანზა 0:1ჰერტა; ნიურნბერგი1:0; 3:4ვერდერი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 | 2:1 | 1:1 2:1 | 2:0 1:1 | 3:3 1:1 |
| 21.04.02 | 20.30 | 011 | ვოლფსბურგი0:2; 3:3კოტბუსი; ჰერტა3:1 გლადბახი V შტუტგარტი კოტბუსი0:0; 2:0ფრაიბურგი; დორტმუნდი3:2 | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,45 | 1:1 | - | - | 2:3 2:2 |
| 21.04.02 | 20.30 | 012 | 2:5მიუნხენი; შტუტგარტი0:2; 0:2კოტბუსი ფრაიბურგი V ლაუტერნი დორტმუნდი1:0; 1:1ხტ. პაული; ლევერკუზენი2:4 | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 | 0:3 | 2:0 5:2 | 2:0 2:1 | 0:1 2:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერი 1904 ლევერკუზენი (4) | | 4:0 | 1:1 | 04.05 | 0:1 | 2:1 | : | 4:1 | 4:0 | 2:1 | 4:1 | 5:0 | 2:0 | 2:0 | 4:2 | 4:1 | 2:0 | 3:1 | 31 | 20 | 6 | 5 | 74:34 | 66 | 13 | 1 | 1 | 43:10 | 40 | 7 | 5 | 4 | 31:24 | 26 |
| 2 | ბორუსია დორტმუნდი (3) | 1:1 | | 0:2 | 3:1 | 1:1 | 3:0 | 04.05 | 1:0 | 2:1 | 4:0 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 2:0 | 2:0 | 0:2 | : | 1:1 | 31 | 18 | 7 | 6 | 54:28 | 61 | 10 | 3 | 2 | 27:10 | 33 | 8 | 4 | 4 | 27:18 | 28 |
| 3 | ბაიერნი მიუნხენი (1) | 2:0 | 1:1 | | : | 3:0 | 4:1 | 2:2 | 4:0 | 2:1 | 3:3 | 3:0 | 0:0 | 6:0 | 04.05 | 0:0 | 1:0 | 3:0 | 2:0 | 31 | 17 | 8 | 6 | 58:23 | 59 | 10 | 5 | 0 | 36:8 | 35 | 7 | 3 | 6 | 22:15 | 24 |
| 4 | ჰერტა ბერლინი (5) | 2:1 | 0:2 | 2:1 | | 27.04 | 5:1 | 3:1 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 6:0 | 3:0 | 2:3 | 1:0 | 2:0 | 1:1 | 3:0 | 2:2 | 31 | 17 | 7 | 7 | 58:33 | 58 | 12 | 2 | 2 | 38:13 | 38 | 5 | 5 | 5 | 20:20 | 20 |
| 5 | შალკე 04 გელზენკირხენი (2) | 3:3 | 1:0 | 5:1 | 0:0 | | 3:0 | 1:4 | 2:1 | 1:0 | 04.05 | 2:0 | 2:0 | 2:0 | 3:1 | : | 3:0 | 3:1 | 4:0 | 31 | 17 | 7 | 7 | 49:31 | 58 | 12 | 2 | 1 | 35:11 | 38 | 5 | 5 | 6 | 14:20 | 20 |
| 6 | კაიზერსლაუტერნი (8) | 2:4 | 1:0 | 0:0 | 4:1 | 0:0 | | 2:1 | 2:2 | 1:3 | 3:2 | 2:2 | 3:2 | 27.04 | 3:1 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 5:1 | 31 | 16 | 5 | 10 | 54:46 | 53 | 10 | 4 | 2 | 35:21 | 34 | 6 | 1 | 8 | 19:25 | 19 |
| 7 | ვერდერი ბრემენი (7) | 2:1 | 1:1 | 1:0 | 0:3 | 3:0 | 1:0 | | 1:2 | 1:3 | 1:0 | 0:1 | 1:0 | 3:2 | 4:3 | 3:0 | 3:2 | 1:1 | 27.04 | 31 | 15 | 5 | 11 | 48:38 | 50 | 10 | 2 | 4 | 26:19 | 32 | 5 | 3 | 7 | 22:19 | 18 |
| 8 | შტუტგარტი (15) | 0:2 | 3:2 | 0:2 | 0:0 | 3:0 | 04.05 | 0:0 | | 0:1 | 2:1 | 3:0 | 1:1 | 0:0 | 2:1 | 2:3 | 3:0 | 0:0 | 2:0 | 31 | 12 | 9 | 10 | 38:35 | 45 | 7 | 5 | 4 | 21:13 | 26 | 5 | 4 | 6 | 17:22 | 19 |
| 9 | მიუნხენი 1860 (11) | 1:4 | 1:3 | 1:5 | 0:3 | 1:2 | 0:4 | 3:1 | 27.04 | | 2:1 | 1:1 | 2:2 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 5:2 | 3:0 | 4:2 | 31 | 14 | 3 | 14 | 51:53 | 45 | 8 | 2 | 6 | 28:30 | 26 | 6 | 1 | 8 | 23:23 | 19 |
| 10 | ვოლფსბურგი (9) | 3:1 | 1:1 | 27.04 | 1:3 | 3:1 | 2:0 | 2:0 | 0:2 | 1:3 | | 0:1 | 3:1 | 2:1 | : | 5:0 | 1:1 | 5:1 | 1:1 | 31 | 11 | 7 | 13 | 51:47 | 40 | 8 | 3 | 4 | 30:17 | 27 | 3 | 4 | 9 | 21:30 | 13 |
| 11 | ჰამბურგი (13) | 1:1 | 27.04 | 0:0 | 4:0 | 0:0 | 2:3 | 0:4 | 2:0 | 2:1 | 1:1 | | 3:3 | 5:2 | 0:1 | 3:1 | 1:1 | 4:0 | 4:3 | 31 | 9 | 10 | 12 | 41:49 | 37 | 7 | 6 | 3 | 32:21 | 27 | 2 | 4 | 9 | 9:28 | 10 |
| 12 | ბორუსია მიონხენგლადბახი (დ) | 0:1 | 1:2 | 1:0 | 3:1 | 0:0 | 0:2 | 1:0 | : | 04.05 | 0:2 | 2:1 | | 0:0 | 0:2 | 1:0 | 2:2 | 4:0 | 2:2 | 31 | 9 | 10 | 12 | 36:46 | 37 | 6 | 4 | 5 | 17:15 | 22 | 3 | 6 | 7 | 19:31 | 15 |
| 13 | ენერგი კოტბუსი (14) | 2:3 | 0:2 | 0:3 | 1:0 | 2:0 | 0:2 | 2:1 | 0:0 | : | 3:3 | 1:0 | 3:3 | | 3:0 | 1:0 | 2:0 | 04.05 | 4:0 | 31 | 9 | 7 | 15 | 33:52 | 34 | 8 | 3 | 4 | 24:17 | 27 | 1 | 4 | 11 | 9:35 | 7 |
| 14 | ჰანზა როსტოკი (12) | 0:3 | 0:2 | 1:0 | 1:1 | 1:3 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 2:2 | 1:2 | 1:1 | 27.04 | 0:0 | | 1:0 | 4:0 | 3:0 | 1:0 | 31 | 9 | 6 | 16 | 32:46 | 33 | 6 | 5 | 5 | 19:17 | 23 | 3 | 1 | 11 | 13:29 | 10 |
| 15 | ნიურნბერგი (დ) | 27.04 | 2:2 | 1:2 | 1:3 | 0:3 | 0:2 | 0:4 | 2:4 | 2:1 | 3:0 | 0:0 | 1:2 | 2:0 | 2:0 | | 2:0 | 2:0 | 0:0 | 31 | 8 | 4 | 19 | 29:53 | 28 | 6 | 3 | 7 | 20:23 | 21 | 2 | 1 | 12 | 9:30 | 7 |
| 16 | ფრაიბურგი (6) | 2:2 | 1:5 | 0:2 | 1:3 | 2:0 | : | 3:0 | 0:2 | 1:3 | 0:0 | 04.05 | 0:1 | 3:1 | 1:1 | 2:0 | | 0:0 | 2:2 | 31 | 5 | 9 | 17 | 30:58 | 24 | 4 | 5 | 6 | 18:22 | 17 | 1 | 4 | 11 | 12:36 | 7 |
| 17 | კიოლნი (10) | 1:2 | 0:2 | 0:2 | 1:1 | 1:1 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 2:0 | 0:4 | 2:1 | 0:2 | 0:0 | 4:2 | 1:2 | 27.04 | | 2:1 | 31 | 5 | 8 | 18 | 20:57 | 23 | 4 | 5 | 7 | 14:21 | 17 | 1 | 3 | 11 | 6:36 | 6 |
| 18 | ხტ. პაული ჰამბურგი (დ) | 2:2 | 1:2 | 2:1 | 0:0 | 0:2 | 1:1 | 0:3 | 1:2 | 0:3 | 3:1 | : | 1:1 | 4:0 | 0:1 | 04.05 | 1:0 | 1:2 | | 31 | 4 | 10 | 17 | 33:60 | 22 | 4 | 4 | 7 | 17:21 | 16 | 0 | 6 | 10 | 16:39 | 6 |

## იტალია. სერია A. 2001-02. XXXII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტები | | | 1/X | 1/2 | X/2 | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.04.02 | 18.00 | 094 | 1:2ინტერი; ვერონა0:0; 2:3უდინეზე ბრეშა V ფიორენტინა ლაციო0:1; 0:3პიაჩენცა; ინტერი0:1 | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,65 | 0:1 | 1:1 2:2 | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 095 | 3:2ლეჩე; მილანი1:1; 2:2პერუჯა კიევო V ინტერი ბრეშა2:1; ატალანტა1:2; 1:0ფიორენტინა | 3,5 | 3,0 | 2,0 | 1,6 | 1,25 | 1,2 | 2:1 | - | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 096 | 1:0ფიორენტინა; ლეჩე1:0; 1:1იუვენტუსი ლაციო V ვერონა უდინეზე1:0; 0:0ბრეშა; ტორინო0:1 | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 | 1:3 | 0:2 5:3 | 4:0 0:1 | - |
| 21.04.02 | 18.00 | 098 | 0:1იუვენტუსი; 1:1კიევო; პარმა3:1 მილანი V რომა პარმა3:1; 2:2ვენეცია; ბოლონია3:1 | 2,6 | 2,8 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,3 | 0:1 | 3:2 1:1 | 2:2 1:1 | 0:1 3:2 |
| 21.04.02 | 18.00 | 099 | 1:3რომა; უდინეზე2:0; 1:3მილანი პარმა V ატალანტა ტორინო1:1; 2:1ინტერი; პიაჩენცა1:1 | 1,75 | 2,8 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,75 | 1:4 | 2:0 1:0 | - | - |
| 21.04.02 | 18.00 | 100 | 2:0ვენეცია; იუვენტუსი0:4; კიევო2:2 პერუჯა V ბოლონია პიაჩენცა1:2; 1:1ტორინო; 1:3რომა | 2,6 | 2,8 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,3 | 1:2 | 1:3 2:3 | 3:2 1:2 | 0:0 1:1 |
| 21.04.02 | 18.00 | 101 | 2:1ბოლონია; ფიორენტინა3:0; 1:1ატალანტა პიაჩენცა V იუვენტუსი მილანი1:0; 4:0პერუჯა; ლაციო1:1 | 4,0 | 3,1 | 1,8 | 1,7 | 1,2 | 1,1 | 0:2 | - | 0:1 0:2 | 0:2 0:1 |
| 21.04.02 | 18.00 | 102 | 1:1ატალანტა; ბოლონია1:1; 1:0ვერონა ტორინო V ლეჩე კიევო2:3; 0:1ლაციო; ვენეცია2:1 | 1,2 | 4,0 | 7,0 | 1 | 1 | 2,5 | 1:1 | - | 1:2 1:2 | - |
| 21.04.02 | 18.00 | 103 | 0:1ვერონა; 0:2პარმა; ბრეშა3:2 უდინეზე V ვენეცია პერუჯა0:2; რომა2:2; 1:2ლეჩე | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,65 | 1:2 | - | 1:1 5:2 | 0:1 1:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი მილანი (5) | | 3:1 | 2:2 | 1:2 | 1:0 | 2.4 | 0:0 | 0:0 | 1:2 | 4:1 | 28.04 | 3:0 | 2:0 | 2:1 | 3:2 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 31 | 19 | 8 | 4 | 55:28 | 65 | 10 | 3 | 3 | 30:16 | 33 | 9 | 5 | 1 | 25:12 | 32 |
| 2 | რომა რომი (1) | 0:0 | | 0:0 | 28.04 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 3:2 | 3:1 | 0:0 | 1:1 | 5:1 | 2:1 | 1:0 | 31 | 17 | 12 | 2 | 52:24 | 63 | 12 | 4 | 0 | 28:8 | 40 | 5 | 8 | 2 | 24:16 | 23 |
| 3 | იუვენტუსი ტურინი (2) | 0:0 | 0:2 | | 3:2 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 3:3 | 3:0 | 2:0 | 2:0 | 1:0 | 3:1 | 28.04 | 3:0 | 3:0 | 2:1 | 4:0 | 31 | 17 | 11 | 3 | 56:23 | 62 | 12 | 3 | 1 | 33:11 | 39 | 5 | 8 | 2 | 23:12 | 23 |
| 4 | კიევო ვერონა (დ) | : | 0:3 | 1:3 | | 2:0 | 1:1 | : 3:1 | 3:0 | 05.05 | 2:0 | 4:2 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 2:1 | 2:2 | 1:1 | 31 | 13 | 11 | 7 | 53:44 | 50 | 8 | 4 | 3 | 26:18 | 28 | 5 | 7 | 4 | 27:26 | 22 |
| 5 | ბოლონია (10) | 2:1 | 1:3 | 0:0 | 3:1 | | 2:0 | 28.04 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 1:2 | 2:1 | 1:0 | 2:1 | 0:1 | 4:3 | 3:2 | 1:1 | 31 | 14 | 7 | 10 | 38:36 | 49 | 11 | 2 | 3 | 26:17 | 35 | 3 | 5 | 7 | 12:19 | 14 |
მომავალი მუნდიალის მასპინძელი სტადიონების ტექნიკური მაჩვენებლები კი ასეთია:

**ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი"**
ტევადობა 2006 წლისთვის: 76 000
სარეკონსტრუქციო ხარჯები: 242 მილიონი ევრო.
სამუშაოები 2004 წლის ივნისში დასრულდება.
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანიის ყველაზე ტევადი არენა ფინალს უმასპინძლებს. ის 1936 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ააგეს ნაცისტებმა და სხვებთან შედარებით ყველაზე მეტი სარეკონსტრუქციო სამუშაოები სწორედ აქ ჩატარდება.

**კიოლნი. „მიუნგერსდორფერი"**
ტევადობა 2006 წლისთვის: 52 000
სარეკონსტრუქციო ხარჯები: 110 მილიონი ევრო.
სამუშაოები 2004 წლის ივნისში დასრულდება.
ეს სტადიონი თავიდან მძლეოსნობისთვისაც, სარბენი ბილიკებით აშენდა. იქ ფეხზე დასადგომი ადგილებიცაა. რეკონსტრუქციის შემდეგ „მიუნგერსდორფი" წმინდა საფეხბურთო არენად იქცევა და დასადგომი ადგილებიც გაუქმდება.

**მიუნხენი. „ალიანც არენა"**
ტევადობა 2006 წლისთვის: 66 000
სამშენებლო ხარჯები: 280 მილიონი ევრო.
მშენებლობა 2005 წლის ივლისში დასრულდება, ეს სტადიონი სახელოვან „ოლიმპიაშტადიონს" შეცვლის. ორი მიუნხენური კლუბიც აქ დაიდებს ბინას. „ალიანც არენა" მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩს უმასპინძლებს.

**კაიზერსლაუტერნი. „ფრიც ვალტერ შტადიონი"**
ტევადობა 2006 წლისთვის: 48 500
სარეკონსტრუქციო ხარჯები: 48,3 მილიონი ევრო.
სამუშაოები 2005 წლის ივლისში დასრულდება. ამ არენას სახელი „კაიზერსლაუტერნის" ცოცხალი ლეგენდის, 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, ფრიც ვალტერის საპატივცემულოდ დაარქვეს.

**გელზენკირხენი. „არენა აუფ შალკე"**
ტევადობა: 52 000
სამშენებლო ხარჯები:192 მილიონი ევრო,
სტადიონის მშენებლობა ახლახან დასრულდა, ულტრათანამედროვეა და, რაღა თქმა უნდა, მზადაა, ნებისმიერი რანგის ტურნირის სამასპინძლოდ.

**ფრანკფურტი. „ვალდშტადიონი"**
ტევადობა 2006 წლისთვის: 48 000
სამშენებლო ხარჯები: 126 მილიონი ევრო.
სამუშაოები 2005 წლის აგვისტოში დამთავრდება. გერმანელები ამ სტადიონის მთლიანად დანგრევას და მოძრავი სახურავიანის აშენებას აპირებენ.

**ჰანოვერი. „ნიდერზაქსენშტადიონი"**
ტევადობა 2006 წლისთვის: 52 000
სარეკონსტრუქციო ხარჯები: 61 მილიონი ევრო.
რეკონსტრუქცია 2005 წლის აპრილში დასრულდება. აქ ბინადარი „ჰანოვერი" მომავალი სეზონიდან პირველ ბუნდესლიგას დაუბრუნდება.

**ჰამბურგი. „AOL არენა"**
ტევადობა: 50 000
სამშენებლო ხარჯები: 97 მილიონი ევრო.
დორტმუნდისა და გელზენკირხენის დარად ჰამბურგული არენაც უკვე მზადაა მომავალი მუნდიალისთვის. ეს სტადიონი ძველის ადგილზე აშენდა და სპონსორის სახელი ეწოდა.

**ლაიფციგი. „ცენტრალშტადიონი"**
ტევადობა 2006 წლისთვის: 44 000
სარეკონსტრუქციო ხარჯები: 90,6 მილიონი ევრო,
სამუშაოები 2003 წლის მაისში დასრულდება.

**დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი"**
ტევადობა: 60 000
სარეკონსტრუქციო ხარჯები: 35 მილიონი ევრო.
აღნიშნული თანხა უკვე დაიხარჯა და „ვესტფალენი" ჩემპიონატის მისაღებად მზად არის.

**ნიურნბერგი. „ფრანკენშტადიონი"**
ტევადობა 2006 წლისთვის: 45 500
სარეკონსტრუქციო ხარჯები: 56 მილიონი ევრო.
სამუშაოები 2005 წლის ივლისში დასრულდება.

**შტუტგარტი. „დაიმლერშტადიონი"**
ტევადობა 2006 წლისთვის: 60 000
სარეკონსტრუქციო ხარჯები: 45 მილიონი ევრო.
სამუშაოები 2004 წლისთვის დასრულდება

# დაკარში ფეხი დავკარი...



ელ ჰაჯი დიუფი (№11) აფრიკის ეროვნებათა თასზეც სანაქებოდ გაისარჯა

ძველმა სენეგალელებმა თქვეს, მამამისიც დიდი მეგოლე იყოო. შვილმა მამის კვალზე იბურთავა და ამ ბურთაობით უფრო შორს წავიდა. მისი გზა კი დედაქალაქური „დაკარიდან" დაიწყო. 17-ის იყო, როცა საფრანგეთიდან „სოშომ" მიაკითხა. სოშოელებმა ბიჭი შეათვალიერეს და კონტრაქტიც გაუფორმეს.

ფრანგულმა მედიამ მალევე შეამჩნია, რომ სენეგალელი ფეხბურთელი მოედანზე მიღმა ყიამყრალობით და უდისციპლინობით გამოირჩეოდა, მაგრამ ნიჭით ბევრს სჯობდა. „რენმა" აი, ასეთი ბიჭი წაჰგვარა „სოშოს" 4 მილიონ 700 ათას დოლარად. მაგრამ 2000 წლის მარტში ის ავტოავარიაში მოჰყვა, რასაც თავისთავად უთამაშებლობაც დაერთო. როცა მომჯობინდა, „რენიდან" „ლანსში" გაანათხოვრეს, სადაც საბოლოოდ უდიდეს აღიარებას მიაღწია — 21 წლის სენეგალელი ბიჭი აფრიკის 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელად სცნეს. მისი სრული სახელი გახლავთ ელ ჰაჯი უსეინუ დიუფი.

გამოკითხვა აფრიკელ ჟურნალისტებსა და აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის ტექნიკური კომიტეტის წევრებს შორის ჩატარდა. ტრადიციულად, ამ გამოკითხვებში ფორვარდები იმარჯვებენ, მცველებს კი არ სწყალობენ. ამჯერადაც ასე მოხდა. დიუფმა სამუელ კუფურზე 27 ხმით მეტი დააგროვა, რამაც ბაიერნელის წყრომა გამოიწვია. სხვათა შორის, აფრიკაში სულ სამჯერ დაირღვა თავდამსხმელთა ჰეგემონია და სამჯერვე მეკარეებმა აჯობეს.

წლის მწვრთნელად ბრუნო მეტსუ დაასახელეს, ხოლო წლის ნაკრებად სენეგალი აღიარეს. სენეგალი მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ ბრუნო მეტსუს თავკაცობით და ელ ჰაჯი დიუფის გოლების წყალობით გავიდა.

კლუბებს შორის პირველობა სამხრეთ აფრიკის „კაიზერ ჩიფსმა" არავის დაუთმო, მეკარეებში კი ეგვიპტელმა ესამ ალ ჰადარიმ იმარჯვა. ყველაზე ლამაზი გოლი ტუნისელ ზუბეირ ბაიას გაუტანია, რომელიც თურქულ „ბეშიქთაშში" ირჯება, უსწრაფესი ჰეთ თრიქის ავტორი ეგვიპტელი ადელჰამიდ ბასიუნი კი საგანგებო პრიზით დააჯილდოვეს. მან ეგვიპტისა და ნამიბიის მატჩისას 117 წამში (!) სამი გოლის შეგდება მოასწრო.

ხოლო რატომ მოეწყო 2001 წლის საუკეთესოთა დაჯილდოება 2002 წლის აპრილში, აფრიკელებს ჰკითხეთ.

**მაშა ხუციშვილი**

| | |
|---|---|
| ელ ჰაჯი დიუფი (ლანსი, სენეგალი) | 93 |
| სამუელ კუფური (ბაიერნი, განა) | 66 |
| სამუელ ეტოო (მალორკა, კამერუნი) | 34 |
| მოჰამედ კალონი (ინტერი, სიერა ლეონე) | 28 |
| ნურედინ ნაიბეტი (დეპორტივო, მაროკო) | 26 |
| ხალილუ ფადიგა (ოსერი, სენეგალი) | 22 |
| იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, ბურკინა ფასო) | 16 |
| პატრიკ მბომა (სანდერლენდი, კამერუნი) | 15 |
| ჰანი რამზი (კაიზერსლაუტერნი, ეგვიპტე) | 12 |
| ზუბეირ ბაია (ბეშიქთაში, ტუნისი) | 10 |
| პედრო მანტორასი (ბენფიკა, ანგოლა) | 10 |

# ეფენბერგი უმუშევრებზე, გერმანია ეფენბერგის ცოლის საყვარელზე

ახლახან „პლეიბოის“ გერმანულმა გამოცემამ ინტერვიუ ჩამოართვა შტეფან ეფენბერგს. ერთი შეხედვით, ინტერვიუ ვის არ მიუცია და სახელი „პლეიბოიც“ ბევრს არაფერს ნიშნავს იმ გაგებით, რომ სულაც არ არის აუცილებელი, მისი ფურცლებიდან მავანმა ცნობილმა პიროვნებამ მაინცდამაინც პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალები გაამხილოს.

და მაინც – შტეფან ეფენბერგის სიტყვები მეხის გავარდნასავით გაისმა – გერმანიაში უმუშევრები არ არიან, ადამიანებს, რომლებსაც ჩვენ უმუშევრებს ვეძახით, უბრალოდ, მუშაობა ეზარებათ!




**„პლეიბოი“:** ჰერ ეფენბერგ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ უმუშევრობის მიზეზი მხოლოდ სიზარმაცეა?

**ეფენბერგი:** აბა, სხვაგვარად როგორ ვიფიქრო, როდესაც გაზეთებში ყოველდღიურად უამრავი განცხადება ქვეყნდება, რომლებითაც ხალხს სამუშაოდ იწვევენ. მაგალითად, ფოსტას უკვე რამდენიმე წელია, ქრონიკულად აკლია თანამშრომლები, როცა მილიონობით ადამიანი ვითომ სამუშაოს ეძებს.

**„პლეიბოი“:** თქვენი აზრით, რატომ არ სურს ხალხს მუშაობა?

**ეფენბერგი:** იმიტომ, რომ ძალიან იოლად მოიწყეს ცხოვრება. დილით ადრე არ ხარ ასადგომი, არ იღლები, თვის ბოლოს კი სოციალური დახმარების სალაროსთან მიდიხარ და ათას ევროზე მეტს იდებ ჯიბეში. და ეს იმის ხარჯზე, რომ მე, ჩემი შემოსავლის ორმოცდათექვსმეტ პროცენტს საშემოსავლო გადასახადში ვიხდი. და ეს ხდება ქვეყანაში, რომელიც სოციალური სამართლიანობით ამაყობს.

***ვალტერ ჰირლინგერი, გერმანიის სოციალური კავშირის პრეზიდენტი:*** „ეფენბერგის განცხადება დიდ უტაქტობად მიმაჩნია. მილიონობით გერმანელი უმუშევარი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს“.

***ფრანც ბსირსკე, გერმანიის პროფკავშირების თავმჯდომარე:*** „დასცინო შენს გულშემატკივრებს, ულირსი საქციელია! ჰერ ეფენბერგ, სად არის ის მილიონობით სამუშაო ადგილი, რომელთაც ადამიანები ვითომდა თავს არიდებენ?“

***მარკუს ჰორვიკი, „ბაიერნის“ პრესმდივანი:*** „ეს ჰერ ეფენბერგის პირადი აზრია და არა „ბაიერნისა“.

ხოლო ყოველივე ამას შტეფან ეფენბერგის მორიგი განცხადება მოჰყვა, ამჯერად „ბილდის“ ფურცლებიდან გამოთქმული: „ჩემს აზრზე მყარად ვდგავარ. რაც ვთქვი, გულიდან მოდიოდა. მე არ მსურს ნამდვილად უმუშევართა შეურაცხყოფა, მაგრამ უმრავლესობა იმიტომ არ ეძებს სამსახურს, რომ დიდი სოციალური დახმარება აქვს.“

> შტეფან ეფენბერგის ხელფასი წელიწადში ოთხი მილიონი ევროა

### სენსაცია: ფრაუ ეფენბერგის საყვარელი

ახლახან გერმანულ პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ მარტინა ეფენბერგი და „დისკო-ბოსად“ წოდებული მავანი კონსტანტინ ვილი (ჩვენთვის უცნობი ეს პიროვნება გერმანიაში ცნობილი ვინმე ყოფილა) ერთმანეთისთვის უფრო მეტნი არიან, ვიდრე უბრალოდ მეგობრებიო.

**„პლეიბოი“:** რა აკავშირებთ თქვენს მეუღლესა და „დისკო-ბოსს“?

**ეფენბერგი:** მარტინას და ჩემს შორის ყველაფერი წესრიგშია. ჩემს მეუღლეს ვიღაც იდიოტებზე მეტად ვენდობი, მარტინამ კი მითხრა, რომ მასსა და „დისკო-ბოსს“ შორის არაფერი ხდება. ვიცი, ზოგიერთებს ჩვენი დაცილება სურთ, მერე საკბილო რომ ჰქონდეთ, მაგრა[illegible]რ გამოუვათ. ეს ყველაფერი სასაცილოდ არ მყოფნის. მომდევნო ტურში მარტინა კვლავ ტრიბუნაზე იჯდება.



შტეფან და მარტინა ეფენბერგებს სიყვარული და სამი შვილი აკავშირებთ

> ბოლო ხანია, მარტინა ეფენბერგი „ბაიერნის“ მატჩებს არ დასწრებია

**ეფენბერგი:** მარტინა, ბავშვებთან ერთად ამერიკაში იყო, სადაც ჩვენი ახალი ვილა მოაწყო. გერმანიაში უკვე დაბრუნდა და ცხადია, ერთად ვართ.

***კონსტანტინ ვილი, იგივე „დისკობოსი“:*** „ეს ყურით მოთრეული ამბავია. მე და ფრაუ ეფენბერგს არაფერი გვაკავშირებს“.

***და ისევ ეფენბერგი:*** ვგრძნობ, რომ სამშობლოში ბევრს კარგა ხანია, აღარ ვუყვარვარ. ეს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოდის, როცა გულშემატკივრებისთვის შუა თითის ჩვენება არ მაპატიეს. ახლა ზეწოლა გაძლიერდა, რადგან სამი მატჩიც და, „ბაიერნისა“ და ჩემი გზები გაიყრება, კარიერის დასრულება კი უცხოეთში მსურს.

**ბოტე ბებელია**




„ბილდი“ მკითხველს: სწორად მიგაჩნიათ თუ არა, ეფენბერგის მოსაზრება?

# მოსამართლემ იცის, ხილი რა ხილია




**მადრიდის** „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი ესპანეთის უმაღლესმა სასამართლომ ციხეში ჩასვა, რაც გუშინ მოკლე ცნობად გაუწყეთ. საქმე ის გახლავთ, რომ ქვეყანაში ანტიკორუფციული კამპანიაა გაჩაღებული. ასე რომ, ხილი ხილის დაპატიმრება მთელი პროცესის ერთი რგოლია და არა ცალკე მოვლენა.

მოგეხსენებათ, ხილი ხილი მხოლოდ საფეხბურთო მოღვაწე არ არის, იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უძვირესი კურორტის, მარბელას მერიც იყო და კორუფციისთვის ხელ-ფეხი ყოველმხრივ გახსნილი ჰქონდა. ბრალდებაც მარბელასთანაა დაკავშირებული — მუნიციპალური ფონდებიდან 30 მილიონი ევრო მიუსაკუთრებია და საბუთების გაყალბებაც თურმე ფრიად დახელოვნებულად ეხერხებოდა.

სხვათა შორის, მისი ციხეში გაგზავნის წინ მოსამართლეს უთქვამს, სინიორ ხილი ხილი გარეთ რომ დავტოვო, დადგება და სამხილებს ერთიანად ცეცხლს მისცემსო.

ერთი სიტყვით, „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი დღეს მადრიდთან ახლოს მდებარე ციხეში ბრძანდება და იმედოვნებს, რომ მისი ვექილები თავდებით განთავისუფლებას მაინც მოახერხებენ.

მარბელური ფულის ჭამასთან რა კავშირშია და თურმე, ხილი ხილს ეს ჩვენი „ატლეტიკო“ საფეხბურთო კლუბიდან შპს-დ გადაუკეთებია. ამ ამბავთან დაკავშირებით, ცალკე სასამართლო გარჩევა წინ არის და საქმეში რაღაცნაირად მისი ვაჟიცაა გარეული, მაგრამ მამა ხილი ამბობს, ადვოკატებს დავატრიალებ, სარჩელებს იქით შევიტან და პრესკონფერენციასაც მოვაწყობო.

გამოუვა თუ არ გამოუვა, კაცმა არ იცის. თუ არ გამოუვიდა, ყველა დანაშაულისთვის ერთად 17-წლიანი პატიმრობა ელის და ამ ხნიდან 10 წელიწადი ვაჟიც გვერდით ეყოლება.

ახლა კი ხილი ხილის საქმენი სამეფრთამეონი გავიხსენოთ. მაგალითად, ამ ოცდახუთიოდე წლის წინ, სამშენებლო ფირმის პრეზიდენტობისას, მისი აშენებული სახლი დაინგრა (რადგან ცემენტი და რაღაც მასალები დააკლო) და ხალხი დაიღუპა.

1999 წელს კი „ატლეტიკოს“ სპონსორული კონტრაქტი გაუფორმა ქალაქ მარბელასთან, ანუ ქალაქის ბიუჯეტიდან ფული აიღო და საკუთარ ჯიბეში ჩაიდო, რისთვისაც აპატიმრებდნენ, მაგრამ თავდებით გამოვიდა. მაშინ 54,35 მილიონი დოლარი დაიკარგა და ხილი ხილს კლუბის პრეზიდენტობა აუკრძალეს.

მაგრამ ხილი ხილი თანამდებობას დაუბრუნდა (ოთხ თვეში) და განაცხადა, შეთქმულების მსხვერპლი ვარო.

ორი კვირის წინ სასამართლომ კიდევ განიხილა „ატლეტიკოს“ პრეზიდენტის საქმე და 28 წლით სამოქალაქო თანამდებობაზე ყოფნა აუკრძალა, მაგრამ ფაქტია, რომ ხილი ხილი გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

„ატლეტიკო“ კი ყველაფრის მიუხედავად მეორე დივიზიონში კარგად გამოდის და სექტემბრიდან, ალბათ, ისევ იქ ვიხილავთ, სადაც ორი წელიწადია არ ყოფილა — პრიმერადივიზიონში.

ხილი ხილს განაჩენი, წესით, დღეს უნდა გამოუტანონ.

**ბაჩუნა ბედია**

## ფეხბურთის რუკასთან

**იტალიური** „იუვენტუსი“ ფრანგული „ლიონის“ თავდამსხმელ სიდნეი გოვუს შეძენას აპირებს. არადა, გოვუმ ახლახან გააგრძელა „ლიონთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე. თუმც მისი აგენტი ფრედერიკ გერა უკვე იტალიაშია და ტურინული კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებას აწარმოებს.

**ჰოლანდიურმა** „როდამ“ ნიგერიელ თავდამსხმელ გარბა ლავალს ახალი სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, თუმც ფეხბურთელმა იუარა. „პირობებმა არ დამაკმაყოფილა. ამიტომ კლუბს დავტოვებ. ვფიქრობ, ახალი კლუბის მოძებნა არ გამიჭირდება“ — განაცხადა ლავალმა. შეგახსენებთ, რომ გარბა ლავალი 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონია.

**ესპანური** „ბილბაოს“ მცველი რაფაელ ალკორტა სეზონის ბოლოს კლუბს დატოვებს. მისით ფრანგული პსჟ დაინტერესდა. „ლუის ფერნანდესთან დღემდე თბილი ურთიერთობა მაქვს. ვიცი, რომ მას ჩემი შეძენა სურს. ძალიან გამიხარდება, თუკი პსჟ-ში გადასვლას შევძლებ. ეს უდიდესი ისტორიის მქონე კლუბია“ — განაცხადა 33 წლის ალკორტამ.

**იტალიური** „იუვენტუსი“ მზადაა, ფრანგ თავდამსხმელ დავიდ ტრეზეგეს შეელიოს, თუ მასში 57 მილიონ ევროს გადაუხდიან. მის შეძენას ინგლისური „არსენალი“ ცდილობს. შეგახსენებთ, რომ ტრეზეგემ მიმდინარე სეზონში 20 გოლის გატანა შეძლო და სერია A-ს ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზეა.

**ესპანური** კლუბები — „რეალი“ და „ბარსელონა“ კრისტიან პანუჩის შეძენას აპირებენ. მოგახსენებთ, რომ პანუჩი ამჟამად იტალიურ „რომაში“ იჯარით თამაშობს, ისე კი ფრანგული „მონაკოს“ საკუთრებაა. თუმც ესპანელებს თავად „რომაც“ შეუერთდა და „მონაკოს“ 12 მილიონი ევრო შესთავაზა. „კრისტიანი რომში თავს კარგად გრძნობს. თან მას ფაბიო კაპელოსთან მუშაობაც ერთობ სიამოვნებს. ამიტომ ძალიან სურს, კვლავ „რომაში“ გააგრძელოს კარიერა“ — განაცხადა კრისტიან პანუჩის აგენტმა ოსკარ დამიანიმ.

**ბრაზილიელი** ლეგიონერი ლუსიო მომავალ სეზონშიც „ლევერკუზენში“ ითამაშებს. ამის შესახებ გერმანული კლუბის მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა განაცხადა. თუმც ახლახან გავრცელდა ხმები, რომ ლუსიოს შეძენას მადრიდის „რეალი“ აპირებს. „თუ საქმე ამოსართევად მეჭნება, „რეალს“ ვამჯობინებ. ეს მსოფლიოს უძლიერესი კლუბია. ვფიქრობ, ლევერკუზენში ამას გაგებით შეხვდებიან“ — თქვა ლუსიომ.

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით, ცნობილი მსაჯი პიერ-ლუიჯი კოლინა ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს კონსულტაციებს ჩაუტარებს. მსოფლიოს ოთხგზის საუკეთესო არბიტრი მათ ორჯერ შეხვდება და ფიფას მიერ შემუშავებულ ახალ დირექტივებზე გაამახვილებინებს ყურადღებას. ძირითადი სასაუბრო თემა იქნება — „როგორ ავიცილოთ პენალტი“. კოლინა „სკუადრა აძურას“ წევრებს აუხსნის, თუ რა დროს ნიშნავს მსაჯი თერთმეტმეტრიან დარტყმას.

**რუსული** „ზენიტის“ თავკაცს გულ-სისხლძარღვთა დაავადება აღმოაჩნდა და საავადმყოფოში მოათავსეს. ამჟამად „ზენიტის“ საწვრთნელ ვარჯიშებს მიხაილ ბირიუკოვი ატარებს, ხოლო გუშინ შაბათს, „ლოკომოტივთან“ მატჩში იური მოროზოვი უხელმძღვანელებს.

## საქართველოს ჩემპიონატი

ბასკო 107:77 მაკაბი ბათუმი, 17 აპრილი

## სლოვენია



ვლადიმერ ბოისამ (მარცხნივ) მეტოქის ფარსაც შედეგიანად შეუტია

# ბენო და ბოისა, ზაგორიე მოისრა

IV ტური

**პოლიოსი 95:84 კემოპლასტი**

**პივოვარნა 77:89 კრკა**

**სავინსკი ჰოპსი 89:81 სლოვანი**

**სლოვანი:** იევტოვიჩი, ტაკელი (11), ფრიდრიხონი (18), უდრიჰი (7), კოვაჩი (2), **უგრეხელიძე** (20 წუთი, 5 ქულა), სლოკარი (13), ჰიკი (25)

ტულუში სათადარიგო იყო

**ოლიმპია 98:77 ზაგორიე**

**ოლიმპია:** სუბოტიჩი (16), გოლემაცი (8), **ბოისა** (14 წუთი, 11 ქულა, 4 მოხსნა), მილიჩი (3), უდრიჰი (16), ზდოვცი (9), ავდიჩი (8), დალი (6), მუჟდინოვიჩი (7), მუკიჩი (6), ტორომანი (8)

სლოვენიის ჩემპიონატის მეოთხე ტურში „ქართული“ კლუბებიდან ერთმა იმარჯვა, მეორემ — ვერა. ძნელი მისახვედრი არ არის მოგებულის გამოცნობა: ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიას“, მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, სლოვენიაში სერიოზული კონკურენტი ჯერაც არ ჰყავს. ერთადერთი, ვინც სხვებზე ამაღლდა და სლოვენიის პირველ გუნდს ალელვებს, ნოვო მესტოს „კრკაა“, მაგრამ ამ გუნდზე საუბარი მომავალი ტურისთვის გადავდოთ, როცა ის „ოლიმპიას“ დაუხვდება.

შაბათს ზმაგო საგადინის გუნდმა „ზაგორიე“ ისტუმრა და როგორც ვლადიმერ ბოისამ გვითხრა, „პანათინაიკოსთან“ საევროლიგო მატჩის წინ რიგიანი ვარჯიში მოიწყო. ლიუბლიანელებმა შეხვედრის ბედი პირველ მეოთხედშივე გადაწყვიტეს, როცა იგი 34:15 მოიგეს. ბოისამ სასტარტოში დაიწყო და ათწუთეულში ყველაზე ყოჩაღად გაისარჯა. ჩვენებურს დაცვაში თამაში დაევალა, თუმც მისი მონაგარი ამ ათწუთეულში ყველასას აღემატებოდა. ვოვამ 10 ქულა დააგროვა და 4 ბურთი მოუხსნა „მთიელებს“. ბოისა და ბენო უდრიჰი, რომელიც საბოლოოდ შეხვედრის მთავარმექულე შეიქნა, მონაცვლეობით ლაშქრავდნენ სტუმართა კალათს და, როგორც ვთქვით, მცირე შესვენებისთვის თითქმის ყველაფერი გაირკვა.

მეორე ათწუთეულიდან საგადინმა ქართველი მოედნიდან გაიხმო და მესამეშილა დააბრუნა: „როცა პირველი ათწუთეულის შემდეგ მნიშვნელოვან უპირატესობას მივაღწიეთ, მწვრთნელმა ცვლილებებს მიმართა და თავის გამოჩენის საშუალება ყველას მისცა. მე მესამე მეოთხედში დავბრუნდი მოედანზე და მხოლოდ 4 წუთი ვითამაშე. ამ ხნის მანძილზე 3 პერსონალური მივიღე, შედეგად 4 დამიგროვდა და საგადინმა დამასვენა. მერე თამაშში აღარც დავბრუნებულვარ. მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა ჩემით და, ვფიქრობ, „პანათინაიკოსთან“ მათამაშებს“, — გვითხრა ვლადიმერ ბოისამ, გუშინ ლიუბლიანაში რომ შევეხმიანეთ.

დავით უგრეხელიძისა და კოტე ტულუშის „სლოვანმა“ პირველი მარცხი იწვნია. მისი მძლეველი პოლზელას „სავინსკი ჰოპსი“ გახდა. მატჩი მეტად დაძაბულ ბრძოლაში გაილია და გამარჯვებულიც დრამატულ ფინალში გამოვლინდა. დარბაზი პოლზელებს პირთამდე შევსოთ, რამეთუ მათ გუნდს სერიოზული ამბიციები ჰქონია ოთხეულში მოსახვედრად და ქალაქიც როგორც შეუძლია, გვერდში უდგას. ალბათ, მილეთის გამაყრუებელი ყიჟინის ბრალიც იყო, ზემოთქმული ბენო უდრიჰის კოგანდარმა ძმამ, სამომ, გადამწყვეტ მომენტში 3-ქულიანი რომ გააცუდა, თორემ „სლოვანის“ მოგება რეალური იყო.

ქართველთაგან დავით უგრეხელიძემ ითამაშა, ისიც მატჩის ნახევარი. მას თამაში არ წაუვიდა იქ, სადაც ყველაზე სახიფათოა. მასპინძლებმა, რომლებიც ლიუბლიანელებთან სიმაღლით ვერც მივიდოდნენ, დიდი მონდომების ხარჯზე ფარზე იმარჯვეს და 33-ჯერ მოხსნეს ბურთი (მეტოქემ 18-ჯერ). უგრეხელიძემ საბოლოოდ 5 ქულა მოაგროვა, „სლოვანმა“ კი 81:89 წააგო.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 4 | 4 | 0 | +92 | 8 |
| კრკა | 4 | 4 | 0 | +60 | 8 |
| სლოვანი | 4 | 3 | 1 | +32 | 7 |
| პივოვარნა | 4 | 2 | 2 | +5 | 6 |
| კემოპლასტი | 4 | 1 | 3 | -30 | 5 |
| ჰელიოსი | 4 | 1 | 3 | -38 | 5 |
| სავინსკი ჰოპსი | 4 | 1 | 3 | -63 | 5 |
| ზაგორიე | 4 | 0 | 4 | -58 | 4 |

# ჩახვალ ინანებ, არ ჩახვალ ინანებ

## ულქერი 10 000 ევროთი დასაჯეს

**ევროლიგის** დისციპლინარებმა სანქციები დააკისრეს სტამბოლის „ულქერს“. მიზეზი თურქული კლუბის თელ ავივში ჩაუსვლელობაა, სადაც ბოლოსწინა ტურის მატჩი უნდა ეთამაშა ჯგუფიდან გასვლისთვის მებრძოლ „მაკაბისთან“, საქმე ისაა, რომ სტამბოლელები ისრაელში ატეხილმა ბათქა-ბუთქმა შეაშფოთა, შფოთისთავები კი „ულქერის“ ამერიკელნი — კვადრე ლოლისი და აიზეკ ოსტინი იყვნენ.

თურქეთში სიკეთეს არ ელოდნენ, თუმც თვლიდნენ, რომ საკმაო საფუძველი არსებობდა იმისთვის, რომ დისციპლინარებს მკაცრი სასჯელი არ გამოეტანათ. მაგრამ „ულქერს“ ოდენ ტექნიკური მარცხი როდი აკმარეს. მურათ დიდინის კლუბი 10 ათას ევროს გადაიხდის, თან ყველა იმ თანხას გაიღებს, რომელიც მსაჯთა ანაზღაურებიდან დაწყებული მატჩის სრული ორგანიზებისთვის იყო საჭირო.

ევროლიგის უმაღლეს მსაჯულ ხოსე მანუელ მეირიმის თქმით, მათ გაცილებით მკაცრი სასჯელის გამოტანაც შეეძლოთ ასეთი დარღვევისთვის, მაგრამ გაითვალისწინეს გარემოება და შედარებით ლმობიერი გადაწყვეტილება მიიღეს.

ლმობიერია თუ არა სანქციები, სტამბოლში ჯერ არ უთქვამთ. თურქებს სააპელაციოდ 10 დღე აქვთ.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანია თამაშს დასასრულს ინყებს

16 აპრილი

**მაიამი 81:88 შარლოტი**

**მაიამი:** სტრიკლენდი (6), ჯონსი (13), გრანტი (2), **სტეფანია** (27 წუთი, 6 ქულა, 8 მოხსნა, 2 დაფარება, 1 ჩაჭრა, 1 პასი), მურნინგი (25 ქულა, 11 მოხსნა); ალენი (11), პაუსი (10), მარქსი (8), კარტერი

**შარლოტი:** დევისი (14), ვესლი (4), მაშბერნი (23), ბრაუნი (9), კემპბელი (4); მაგლუა (15), ნეილონი (14), ლინჩი (5), ოგმონი, ტრეილორი

ახალწამოჩიტული ისე რა გრანდებისგან დაბრიყვებულ „მაიამის“ ვეღარც კარის გაჯახუნება გამოსდის. უხალისოდ მობურთავე ფლორიდელებმა ერთხელაც წააგეს ძველმოსისხლე „შარლოტთან“ და საერთოდ თავმოყვარეობადაკარგულნი ამთავრებენ 2001-02-ის რეგულარულ ჩემპიონატს.

სხვა მაიამელებთან ერთად ჩვენებური ვოვა სტეფანიაც უხმაურო, უპლეიოფო გაზაფხულ-ზაფხულს ელის და ვინ იცის, ერთი სული აქვს, როდის დააღწევს თავს პატ რაილის და მის დაცვით თეორიებს.

ამასობაში რეგულარულ სეზონში რეგულარულად ნათამაშებმა ვოვამ სეზონის ბოლოსწინა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო. მეხუთეულე ბრაიან გრანტის არყოფნაში თავდამსხმელად გამწესებული სტეფანია 27 წუთის განმავლობაში უშლიდა ხელს მისი გუნდის მრავალგზის დამმარცხებელ შარლოტელებს და, მგონი, არცთუ ურიგოდ. ვოვა თავის სტიქიაში, საკუთარი კალათისქვეშეთში გამაგრდა და წონწოლა მეტოქეთ — ფილკი ბრაუნს და ელდენ კემპბელს სისხლი გაუშრო. ამით მან საქმე გაუნახევრა ცენტრალონზო მურნინგს და „ზოც“ „შარლოტის“ ფარქვეშეთში თამამად გაიბოტა. დამხვდურთა და მათი მორიგი უნებური დაქცევის საცქერად მოსულ სულ ორიოდ ათას უბრალო მაიამელის სამწუხაროდ, მურნინგის ხელ-ფეხის მარჯვე ქნევა სტუმართა წაზდენას არ ეყო.

„ჰითი“ ყველაზე უფრო დაალალატა გამთამაშებელმა როდ სტრიკლენდმა, რომელმაც თავისიანებს პასები მოაკლო და უმისამართოდ „შარლოტის“ კალათს ქაოტურად მიძალებულ მასპინძლებს მთლიანობაში კოვზი ნაცარში გაესვარათ. სტრიკლენდმა და საერთოდ მეტ-ნაკლებად ყველა მისმა თანაგუნდელმა მეოთხე მეოთხედი ჩააგდეს, მეტოქეს 10:28 დაუთმეს და საბოლოოდ „შარლოტთან“ სეზონის მესამე და უკანასკნელ ჯახში მესამედ გაიჭყლიტნენ.

**მილუოკი 105:89 ტორონტო**

**მილუოკი:** კასელი (24), ალენი (23), რობინსონი (22), მეისონი (18)

**ტორონტო:** პეტერსონი (23), კლერკი (21), დევისი (15)

**კლივლენდი 95:99 ინდიანა**

**კლივლენდი:** ა. მილერი (21 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ილგაუსკასი (20)

**ინდიანა:** ონილი (34), არტესტი (19), რ. მილერი (15), ტინსლი (13 ქულა, 14 პასი)

**ნიუ ჯერსი 98:103 დეტროიტი**

**ნიუ ჯერსი:** კიტლზი (30), უილიამსი (19), ჯეფერსონი (14)

**დეტროიტი:** ეტკინსი (21), ბერი (17), ვოლესი (14 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება)

**ვაშინგტონი 116:112 ნიუ იორკი**

**ვაშინგტონი:** ალექსანდერი (20), ნესბი (18), საიმონსი (15)

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (26), ჰიუსტონი (24), ვეზერსპუნი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**დალასი 96:87 იუტა**

**დალასი:** ფინლი (35), ნოვიცკი (24)

**იუტა:** მელოუნი (24), კირილენკო (18), პადეჟეტი (15)

**ატლანტა 95:102 ორლანდო**

**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (23 ქულა, 11 მოხსნა), ჯონი (14)

**ორლანდო:** უილიამსი (23), ჰადსონი (18), მაკგრეიდი (16), იუინგი (12)

**სან ანტონიო 95:71 ფინიქსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (24 ქულა, 11 მოხსნა), დანიელსი (17), პარკერი (13)

**ფინიქსი:** ჯონსონი (12)

**დენვერი 101:70 ჰიუსტონი**

**დენვერი:** ფოიზი (26 ქულა, 8 მოხსნა)

**ჰიუსტონი:** ტორესი (18), გრიფინი (14)

**კლიპერსი 92:84 მემფისი**

**კლიპერსი:** ოლოვოკანდი (25)

**მემფისი:** გასოლი (19), ბეტიე (17)

**საკრამენტო 120:106 გოლდენ სტეიტი**

**საკრამენტო:** ვებერი-ბერკი (29 ქულა, 11 მოხსნა), ბოლარდი (23 ქულა, 14 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (20)

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (40), ოლივერი (15), არენასი (14 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი)

დღის ყველაზე ინტრიგისმხლებ მატჩში „მილუოკი ბაქსმა“ „ტორონტო რეპტორზი“ დასცა და საკუთარი, ამ ბოლო ხანებს გვარიანად დამძიმებული სხეული პლეი ოფისკენ ძალუმად მიაჩოჩა. ამ მატჩის შემდეგ ძლეულ „ტორონტოს“, მძლეველ „მილუოკის“ და გუშინწინ აგრეთვე ნაყოჩალებ „ინდიანას“ 41-41 გამარჯვება და თითოთი ნაკლები მარცხი შეჰგროვებიათ. სამივეს კინკილა თამაში დარჩენიათ. ასე რომ, 17 აპრილს, რეგულარულის ბოლო დღეს სამივე მაქსიმალურად დაწვავს კალორიებს. ისე კი აღვნიშნოთ, რომ „მილუოკი“ ორივე კონკურენტთან პირად თამაშებში უპირატესობას ფლობს. თუ მასთან ერთად რომელიმემაც წააგო, „ბაქსი“ დაისაკუთრებს პლეი ოფის ორი აღმოსავლეთის საგზურიდან ერთ-ერთს [illegible] ვილი ჯორჯ კარლის შეგირდებს. წინა სეზონში აღმოსავლეთის მეორე გუნდს ახლა სამარჩიელოდ არ უნდა ჰქონოდა საქმე, მით უმეტეს, რომ შარშანდელთან შედარებით ოღნავ, მაგრამ მაინც უკეთესი შემადგენლობა ჰყავს.

29 გუნდიდან პირველმა „ვაშინგტონ ვიზარდსმა“ დაამთავრა რეგულარული სეზონი. 82-ე მატჩში ოფიციალურმა დედაქალაქელებმა ქვეყნის ფაქტობრივი მთავარქალაქელები, ნიუიორკელები გვემეს. ბედის ირონიით, „ვაშინგტონმა“ სეზონი სწორედ „ნიუ იორკთან“ მარცხით გახსნა, ამის მიზეზი კი მაიკლ ჯორდანი გახლდათ, რომელმაც გადამწყვეტი სროლის ვერჩაგდებით „ჯადოქრებს“ სეზონი მარცხით დააწყებინა. „დღეს მაიკლი ჩვენს გვერდით კიდეც იყო და კიდეც არა. მისი წყალობით კარგ გუნდად ვიქეცით და პლეი ოფისთვის ვიბრძოლეთ. მართალია, ზეიმი უჩვენოდ დაიწყება, მაგრამ ჩვენ ასეთი დასასრულითაც კმაყოფილნი ვართ“ — ვაშინგტონელი ფორფი ჯონსის ნათქვამი შეიძლება სრულიად „ვიზარდსისად“ ჩაითვალოს.

**ირაკლი ფირცხშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 51 | 30 | 63,0 |
| დეტროიტი | 49 | 32 | 60,5 |
| ბოსტონი | 48 | 33 | 59,3 |
| ორლანდო | 44 | 37 | 54,3 |
| ფილადელფია | 43 | 38 | 53,1 |
| შარლოტი | 43 | 38 | 53,1 |
| ტორონტო | 41 | 40 | 50,6 |
| მილუოკი | 41 | 40 | 50,6 |
| ინდიანა | 41 | 40 | 50,6 |
| ვაშინგტონი | 37 | 45 | 45,1 |
| მაიამი | 35 | 46 | 43,2 |
| ატლანტა | 33 | 48 | 40,7 |
| ნიუ იორკი | 30 | 51 | 37,0 |
| კლივლენდი | 29 | 52 | 35,8 |
| ჩიკაგო | 21 | 60 | 25,9 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 61 | 20 | 75,3 |
| დალასი | 57 | 24 | 70,4 |
| ლეიკერსი | 57 | 24 | 70,4 |
| სან ანტონიო | 57 | 24 | 70,4 |
| მინესოტა | 49 | 32 | 60,5 |
| პორტლენდი | 48 | 33 | 59,3 |
| იუტა | 44 | 37 | 54,3 |
| სიეტლი | 44 | 37 | 54,3 |
| კლიპერსი | 39 | 42 | 48,1 |
| ფინიქსი | 35 | 46 | 43,2 |
| ჰიუსტონი | 28 | 53 | 34,6 |
| დენვერი | 27 | 54 | 33,3 |
| მემფისი | 23 | 58 | 28,4 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 61 | 24,7 |

დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები. პირველ ორ ადგილზე არიან დივიზიონების ლიდერები







როდ სტრიკლენდის (ბურთით) უხეირო ბურთაობამ პატ რაილის თავი ჩაახრჩობინა


ანა კურნიკოვას ჩოგნაობას ღლაბუცი ურჩევნია



მარატ საფინს წამლობა მოგებაში წაადგა

# ვაიმე, ანა, სადამდე!

## არ შეგეშალოთ, მონიკა ვარ სელეში

**ჩარლსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 1,224 მილიონი $**

**პირველი წრე**

**მარი პირსი** (საფრანგეთი) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:3, 6:4; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (10, ესპანეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:4, 6:2; **ელენა დემენტიევა** (12, რუსეთი) — რიკა ფუძივარა (იაპონია) 7:6 (9:7), 6:1; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — მარისა ირვინი (აშშ) 6:1, 6:1; **სტეფანი ფორე** (საფრანგეთი) — ვინე პრაკუსია (ინდონეზია) 6:2, 6:0; **ჟანეტ ჰუსაროვა** (სლოვაკეთი) — სამანტა რივზი (აშშ) 3:6, 6:3, 6:3; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 7:6 (7:5), 6:1; **ამანდა კუცერი** (სამხრეთ აფრიკა) — ერიკა დე ლონე (აშშ) 6:4, 6:2; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:3; **აი სუგიამა** (იაპონია) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 3:6, 6:4, 6:4; **დანიელა პანტუხოვა** (11, სლოვაკეთი) — როსანა ნეფა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 4:6, 7:6 (7:4), 6:0

**მეორე წრე**

**მონიკა სელეში** (2, აშშ) — ემი ფრეზერი (აშშ) 4:6, 6:3, 6:0; **სერენა უილიამსი** (3, აშშ) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 6:0, 6:2; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:4, 7:6 (7:3); **კლარისა ფერნანდესი** (არგენტინა) — სილვია ფარინა ელია (9, იტალია) 7:6 (7:4), 6:0; **ივა მაიოლი** (ხორვატია) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:2, 6:4

მაშ ასე — გუშინდლიდან ჩარლსტონში ჩოგნის ქნევა მსუყე გოგონებმაც იკადრეს. ოღონდაც, ეგ ამბავი ვის როგორ გამოუვიდა და ვის როგორ. მაგალითად, მონიკა სელეშის ემი ფრეზერისთვის თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად საათი და 46 წუთი დასჭირდა. თავიდან ძალიან გამიჭირდა და ბლომად ოფლიც ვღვარე, მაგრამ მერე და მერე მატჩის სადავეები ამოვდე და ყველაფერი ისე მოვატრიალე, მე რომ მინდოდაო, ასე ამბობდა ნამატჩევს სელეში.

მისგან განსხვავებით, სერენა უილიამსმა ფიორა შანსიც არ დაუტოვა თვისტომ ჯენიფერ ჰოპკინსს და სამესამწრეო საშვი სულ რაღაც 40 წუთში მიითვალა. ძალიან კმაყოფილი ვარო, ამბობდა რიჩარდის ასული მატჩის შემდეგ.

კვლავაც ჩაფლავდა სექსგოგო ანა კურნიკოვა, ვისაც მისი 103-ე ტურნირი დასტურ იმ დღეს 30 წელს შესრულებულმა კონჩიტა მარტინესმა წაუმურდლა. თუმცაღა მორიგ მარცხს სექსანა მაინც ჩვეული სექსლიმილით ეგებებოდა. აქაოდა, ჩემი დღევანდელი გარჯით ფრიად კმაყოფილი ვარო. როგორც ჩანს, ამ გოგოსთვის გამარჯვებაზე მეტად მნიშვნელოვანი მილეთისთვის მისი სექსსხეულის რაგინდარა მიმოხვრაში დანახვინება იქცა.

**მონტე კარლო. თიხნარი**
**საპრიზო 2,95 მილიონი $**

**პირველი წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — ალბერტო პორტასი (ესპანეთი) 6:2, 6:2; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 6:4, 6:3; **ტიმ ჰენმანი** (4, ბრიტანეთი) — გილერმო კორია (არგენტინა) 6:7 (5:7), 7:5, 6:1; **ტომი ჰაასი** (5, გერმანია) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:4, 6:2; **მარატ საფინი** (6, რუსეთი) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:2; **სებასტიან გროჟანი** (7, საფრანგეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი** (9, შვეიცარია) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 7:6 (7:2), 6:4; **ენდი როდიკი** (10, აშშ) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 7:6 (7:4), 7:6 (9:7); **ალექს კორეჩა** (13, ესპანეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 7:5, 7:6 (7:5); **იუნეს ელ აინაუი** (15, მაროკო) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:3, 6:4; **ატილა შავოლტი** (უნგრეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, 7:5; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:6 (7:1), 6:7 (4:7), 6:2; **მიხეილ კრატოხვილი** (შვეიცარია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 0:6, 6:3, 6:4; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **ნიკოლა მასუ** (ჩილე) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 5:7, 6:0, 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ანდრეას ვინციგერა (შვედეთი) 6:4, 6:4

მსოფლიოში ნომერ პირველი მეჩოგნე კაცი ლეიტონ ჰიუიტი წილისყრამ პირველ წრეში განთქმულ ესპანელ მეთიხნარესა და ოდესღაც ასევე მსოფლიოში მეპირველე კარლოს მოიას შეჰყარა. ავსტრალიელმა პირჩოგნად ჩაიფლავა, თუმცა ნამატჩევს იძახდა, რაღაი წვიმა იყო, უნდა შეეწყვიტათ და მერე ვინ მოიგებდა, ეგ კიდევ საკითხავიაო.

ლამის კინაღამ შერცხვა და 6:4, 3:0-დან თითქმის უკვე წაგებული მატჩი ამოიღო რუსმა მარატ საფინმა, ვისაც მედგარი ესპანელის, ტომი რობრედოს წინააღმდეგობის ალაგმვა მოუხდა.

იმარჯვა უნიჭიერესმა ამერიკელმა ენდი როდიკმა. ჩილელი ფერნანდო გონსალესის გასავლელად მან ორტაიბრეიკიანი ბუღრაობას გადაიტანა.

სანაცვლოდ, მომავალ წრეში იჩოგნავებს ჯადოჩილელი მარსელო რიოსი, ვინაც გზიდან ჩამხვევ-ჩამხუჭუჭებელი ფაბრის სანტორო ჩამოიშორა.

**ლევან ძელაურაძე**

---

## მძლეოსნობა

# შავი ოდისეა ბოსტონის ბორცვებზე

## კენიელებმა ტრადიცია გააცოცხლეს



მარგარეტ ოკაიო

**ლონდონის** მარათონის მეორე დღესვე არანაკლებ პრესტიჟული ბოსტონის მარათონი გაიმართა. ზედმეტი რბენისგან დალუპული ელინი ჯარისკაცის სახელზე არსებული რბოლებიდან ეს ორი მთავარია და ერთგვარად ეჯიბრებიან კიდეც ერთმანეთს სახელიანი მარათონელების გადაბირებასა და სხვა საქმეებში. წლეულს ლონდონმა იძალა, ჰაილე გებრესილასიე არბენინა თავის ქუჩებში და მსოფლიოს რეკორდიც ალბიონის დედაქალაქში დამყარდა. ბოსტონის სარეკორდო პერსპექტივა ბევრად ნაკლები გახლდათ, რადგან 42 კილომეტრი და 195 მეტრი გზის მოზრდილი ნაწილი ბორცვებია, რაც ფიზიკურად და ფსიქიკურად უფრო ღლის ხოლმე ათლეტებს.

შარშან ბოსტონში სენსაცია მოხდა. ბოლო 14 რბოლიდან 11 ხომ კენიელებს მოევგოთ და უცებ გამოჩნდა კორეელი ლი ბონგ იუ, რომელმაც რბენის შავ პროფესორებს სოლიდური მარცხი აგემა. წლეულს პროფესორებმა სტატუსკვო აღადგინეს, კენიელთა გუნდურმა გარჯამ შედეგი გამოიღო.

გზის 25 კილომეტრი ისე გაილია, ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა. ამინდი არ იყო შესაფერისი, ამიტომ დიდი აჩქარების სურვილი არც ერთ მემარათონეს ეტყობოდა და 30 კაცი მჭიდრო ჯგუფად გარბოდა. ამის შემდეგ იყო, კენიელებმა ფეხი რომ გამოილეს და გროვა დაიშალა. მოწინავე ჯგუფმა, რომელშიც 8 კენიელი და ორიოდ სხვაც შედიოდა, მხნედ გასწია ფინიშისკენ, სხვებმა მიზნად ბოლომდე მიღწევალა დაისახეს.

მოწინავე ჯგუფში გარბოდა ნახსენები ლი ბონგ იუ, ვისი გარეგნობის თხასთან ასოცირება (უბოროტო ნათქვამია) შარშანაც შეიძლებოდა და წლეულს მით უმეტეს. ნიკაპის ქვემოთ ამოსული წვეროვანი ბუჩქი კარგად გაპარსულ სიფათზე კორეელს გამოკვეთილად ემჩნეოდა და ფოტოგრაფები მის გადაღებას ხშირხშირად ცდილობდნენ. ლი ბონგ იუმ რამდენიმე კილომეტრის შემდეგ აღმოაჩინა, რომ სულ ეული დარჩენილა კენიელთა შავ ჯგროში და, იქნებ ფსიქოლოგიური მიზეზითაც, წინააღმდეგობა თითქმის შეწყვიტა. მხოლოდ ბოლოსკენ, კორეელმა ერთხელაც შეუტია ფინიშისკენ სწრაფად მავალ კენიელებს, ცოტა გაარღვია კიდეც მათი ჯაჭვი და მე-5 ადგილი დაიკავა.

სულ თავში სიტუაცია 35-ე კილომეტრის ნიშნულთან დაიწმინდა, როცა როჯერს როპი და კრისტოფერ კებოიბოკი დაწინაურდნენ. სწორედ ამ დროს 4 ბორცვისგან შემდგარი მონაკვეთი დაიწყო, რომელიც ორივე მორბენალმა ტოლ-სწორად დაასრულა, მაგრამ როცა სარეზერვო ძალები მოიკრიბეს, როპი უფრო მხნედ გამოიყურებოდა, რაც გამოიხატა კიდეც მის გარღვევაში ფინიშთან საკმაო სიახლოვეს. როპი 25 მეტრით დაწინაურდა და უპირატესობა აღარც დაკარგა.

კენიელი პროფესიონალი მემარათონე როდია, ნაირობის პოლიციაში მუშაობს და აქ ერთიც უნდა შევნიშნოთ: მარათონებზე წერისას ხშირად გვიწევს კენიის ძალოვანი უწყებების მუშაკთა ხსენება მაშინ, როცა რიგი სხვა ქვეყნების პოლიციელებს პატიმრების ან სულაც უბრალო მოქალაქეთა ცემა-ტყეპის კონტექსტში უფრო ახსენებენ.

ქალები: აქაც კენია ბატონობდა. მარგარეტ ოკაიომ ტრასის რეკორდი დაამყარა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მსოფლიოს რეკორდსმენ თვისტომს, კატრინ ნდერებას გაუსწრო.

საერთოდ, ქალებმა კაცებზე მეტი სიკაპასით ირბინეს. მათი ტემპი სიზარმაცის ელემენტს ნაკლებად შეიცავდა. გზის ნახევრის შემდეგ სამნი დაწინაურდნენ და პირველი ინიციატივა ჩინელმა სუნ ინგჯიემ გამოავლინა, რომელიც 25-ე კილომეტრამდე ლიდერობდა, მერე კი კენიელებმა გაუსწრეს და ერთმა ეთიოპმაც. ბოლო კილომეტრებზე ნდერებაც მოეშვა და ცოცხლად მორბენალმა ოკაიომ ისიც იოლად ჩამოიტოვა.

**დავით გულუა**

**ვაჟები**

1. როჯერს როპი (კენია) 2:09.01; 2. კრისტოფერ კებოიბოკი (კენია) 2:09.05; 3. ფრედ კიპროპი (კენია) 2:09.45; 4. მბარაკ ჰუსეინი (კენია) 2:09.45; 5. ლი ბონგ იუ (კორეა) 2:10.30

**ქალები**

1. მარგარეტ ოკაიო (კენია) 2:20.43; 2. კატრინ ნდერება (კენია) 2:21.12; 3. ელფენეშ ალემუ (ეთიოპია) 2:26.01; 4. სუნ ინგჯიე (ჩინეთი) 2:27.26; 5. ფირაია სულტანოვა (რუსეთი) 2:27.58



როჯერს როპი

## ხელბურთი

**ჩემპიონთა ლიგა. ქალები**

ნახევარფინალი. პირველი მატჩები

ლარვიკი (ნორვეგია) 29:22 კომეტალი (მაკედონია)

ჰიოსი (უნგრეთი) 32:32 ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ასანიძე

# ევროპა მოიცდის

## ასანიძე ანთალიაში მსოფლიოს ოქროს გაუფრთხილდება

*თითქმის თვეა, რაც ქართველი ძალოსანი, მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი გიორგი ასანიძე პოლონეთის ქალაქ ჩეხანოვში იმყოფება ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად, რომელიც ანთალიაში 21 აპრილს დაიწყება. თურქული კურორტის ფიცარნაგი ერთობ იღბლიანია საჩხერელი ძალოსანისთვის. შარშან სწორედ ანთალიაში მოიგო ასანიძემ მსოფლიოს ოქრო. იმის გასარკვევად, თუ როგორ ემზადება ჩვენი ძალოსანი საევროპოდ, ასანიძეს ჩეხანოვში დავუკავშირდით.*

**— პირობებით კმაყოფილი ხარ?**

— ძალიან. აქ იდეალური ვითარებაა სავარჯიშოდ. მეც, ცხადია, სრული დატვირთვით ვემზადები. ევროპის ჩემპიონატი კარსაა მომდგარი და ფორმაში უნდა შევიდე.

**— ტრავმა ხომ არ გაწუხებს?**

— ისეთი არაფერი, ხელი რომ შემიშალოს. მაქვს მცირე ტრავმები, მაგრამ სერიოზული არაფერია.

**— ევროპის ჩემპიონატზე რას გეგმავ?**

— რომელიმე სინჯის მედალი აუცილებლად უნდა მოვიგო. სიმართლე გითხრა, მაინცდამაინც ოქროს არ ვუმიზნებ. საუკეთესო ფორმაში არ ვარ, თანაც ძალების დაზოგვა მინდა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც პოლონეთში გაიმართება. სწორედ იქ უნდა დავიცვა ტიტული.

**— შენი კონკურენტები ვინ იქნებიან?**

— თითქმის ყველა ბერძენი პიროს დიმასის გარდა. იგი ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს.

**ბაჩო სვანიძე**

რაგბი

# რუსეთი დაიქსაქსა

**სანამ** საქართველოს ნაკრები შემოდგომამდე უქმობს და 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპზე მეორე მეტოქეს, სავარაუდოდ, რუსეთს ელოდება, სლავები უკვე გადავიდნენ შეკრებაზე. რუსეთის ნაკრები შესარჩევ ტურნირს ბოლოსწინა ეტაპიდან იწყებს. ევროპის ერთა თასზე ხელმოცარული „დათვები" სამგუნდიან ჯგუფში ჩეხეთს და პოლანდიას დაუპირისპირდებიან. რაკი რაგბი ლოგიკური სპორტია და იქ სენსაცია თითქმის გამორიცხულია, ირლანდიასთან ერთად ბორჯღალოსნების მეტოქე, ალბათ, რუსეთი იქნება.

რუსეთის ნაკრები შესარჩევ ტურნირს პრალაში იწყებს. „დათვები" იქაურებს 4 მაისს შეხვდებიან, 12 ივნისს კი მაჩანჩალა პოლანდიას დაუხვდებიან. პოდა, დასრულდა თუ არა წლევანდელი ერთა თასი, რუსეთის ნაკრები საფრანგეთში ჩაფრინდა და ქალაქ დაქსში გაშალა ბანაკი. სლავები იქ, ალბათ, ერთ თვეს დარჩებიან, მერე კი გეგმის მიხედვით სამხრეთ აფრიკაში გამოიკეტებიან და შემოდგომამდე ცხვირს არ გამოჰყოფენ. რუსეთის ნაკრები ლეგიონერთა გარეშე გადავიდა შეკრებაზე, თუმც სამივე ლეგიონერი, მონტობანელები — სერგეი სერგეევი, ვიაჩესლავ გრაჩოვი და კონსტანტინ რაჩკოვი საფრანგეთის ჩემპიონატის დასრულებისთანავე შეუერთდებიან გუნდს. მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა კი საფრანგეთში ეს მორაგბეები იახლა:

***მორკინალები:*** *რაშიდ ბიკბოვი, იგორ ნიკოლაიჩუკი, რაშიდ საგდეევი, ვალერი ფედჩენკო, ოლეგ შუკაილოვი, ვიაჩესლავ ზიკოვი, რომან რომაკი, რომან შელეპკოვი, დმიტრი დიატლოვი, ალექსეი ტრავკინი, ვლადიმირ მარჩენკო, ალექსანდრ ხროკინი.*

***უკანა ხაზი:*** *იგორ დიმჩენკო, ვლადიმირ სიმონოვი, ანდრეი ჩუპინი, ალექსეი კორობეინიკოვი, ვიტალი ილარიონოვი, ვიტალი ზვერი, ოლეგ ჟუკოვი, ანდრეი კუზინი, ვიქტორ მოტორინი, იგორ ბუდნიკოვი.*



ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

რუსთა კაპიტანი
ვიაჩესლავ გრაჩოვი
თავისიანებს საფრანგეთის ჩემპიონატის
დასრულებისთანავე შეუერთდება

**ბაჩო სვანიძე**

# პლეი ოფია?
# მარჩიელობა ყინულზე

## აღმოსავლეთ კონფერენცია

| ბოსტონი (1) | „The Sporting News"-ის პროგნოზი: 4:2 | მონრეალი (8) |
|---|---|---|
| | **ლიდერები** | |
| გლენ მიურეი (41 გოლი+30 პასი), სერგეი სამსონოვი (29+41), ბილი გერინი (41+25) | | იანიკ პერო (27 გოლი+29 პასი), ოლეგ პეტროვი (24+17), რიჩარდ ზედნიკი (22+22) |
| | **მიღწევები** | |
| თასის 5-გზის მფლობელი (ბოლო 1972) | | თასის 23-გზის მფლობელი (ბოლო 1993) |

სერიის ორივე მონაწილე ნჰლ-ის უძველესი მკვიდრია. ბოსტონი შეტევაში გაცილებით მრისხანე და შედეგიანია, მაგრამ მონრეალსაც აქვს ბრჭყალები. რაც გუნდმა ბრწყინვალე ფინიშის წყალობით საპლეიოფო საგზური მოიპოვა, ალმაფრენას განიცდის. თან ბოლო თამაშებში ორი ლიდერი დაუბრუნდა, მათ შორის საკუ კოივუ. თუმც მთავარი იარაღი მაინც მეკარე ჟოზე თეოდორია.

| ფილადელფია (2) | „The Sporting News"-ის პროგნოზი: 4:3 | ოტავა (7) |
|---|---|---|
| | **ლიდერები** | |
| სიმონ განიე (33 გოლი+33 პასი); ჯონ ლეკლერი (25+26), მარკ რეკი (22+42) | | დანიელ ალფრედსონი (37 გოლი+34 პასი), მარიან ჰოსა (31+35), რადეკ ბონკი (25+45) |
| | **მიღწევები** | |
| თასის 2-გზის მფლობელი (ბოლო 1975) | | თასის მეოთხედფინალისტი |

ძნელად პროგნოზირებადი სერიაა. ფილადელფია უფრო აგრესიული, გნებავთ, ხისტი გუნდია, შემსრულებლებიც გაცილებით მაღალი კლასისანი ჰყავს. ოტავამ კი ბოლო წლებში არასათასო გუნდის იმიჯი შეიქმნა. ძირითადად ევროპელთაგან დაკომპლექტებულ გუნდს ჩრდილოამერიკელთათვის დამახასიათებელი ჟინი აკლდა, რაზეც ალექსეი იაშინის მაგალითიც მეტყველებს.

| კაროლინა (3) | „The Sporting News"-ის პროგნოზი: 1:4 | ნიუ ჯერსი (6) |
|---|---|---|
| | **ლიდერები** | |
| ჯეფ ონილი (31 გოლი+33 პასი), სამი კაპანენი ((27+42), რონ ფრენსისი (27+50) | | პატრიკ ელიაში (29 გოლი+32 პასი), ჯო ნიუენდაიკი (25+33), ბობი ჰოლიკი (25+29) |
| | **მიღწევები** | |
| თასის მეოთხედფინალისტი | | თასის 2-გზის მფლობელი (ბოლო 2000) |

მეტოქეები შარშან შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ნიუ ჯერსი აშკარა ფავორიტი გახლდათ. წლეულს კაროლინამ უკეთ ჩაატარა სეზონი და ამჯერად მოედნის უპირატესობაც მისია. თუმც მას მაინც გაუჭირდება მძლავრი „ეშმაკური" მანქანის შეჩერება. ნიუ ჯერსის კარგად მოერგო ჯო ნიუნდაიკი და, რაც მთავარია, ახალი თავკაცის, კევინ კონსტანტაინის მისვლის შემდეგ გუნდმა ძველი რიხი დაიბრუნა.

| ტორონტო (4) | „The Sporting News"-ის პროგნოზი: 4:3 | აილენდერსი (5) |
|---|---|---|
| | **ლიდერები** | |
| ალექსეი იაშინი (32 გოლი+43 პასი), მარკ პერიში (30+30), მაიკ პეკა (25+35) | | მატს სუნდინი (41 გოლი+39 პასი), ალექსანდრ მოგილნი (24+33), ლარსი ტაკერი (24+35) |
| | **მიღწევები** | |
| თასის 13-გზის მფლობელი (ბოლო 1967) | | თასის 4-გზის მფლობელი (ბოლო 1983) |

სერიის ბედს ორი დუელის შედეგი გადაწყვეტს: სუნდინი-პეკა, იაშინი-კორსონი. მაიკ პეკა მეტოქის ლიდერთა რისხვაა, მისი ძალა სუნდინს ბუფალოში თამაშისას გამოუცდია. ისე კი სუნდინმა წლეულს ძალიან მოუმატა — იგი მნიშვნელოვან თამაშებში განსაკუთრებით ჯიგრიანად ხრიალებდა. არც შეინ კორსონია თავისი საქმის ურიგოდ მცოდნე. იაშინი კი პლეი ოფის მოთამაშედ სულაც არ ითვლება.

## დასავლეთ კონფერენცია

| დეტროიტი (1) | „The Sporting News"-ის პროგნოზი: 4:1 | ვანკუვერი (8) |
|---|---|---|
| | **ლიდერები** | |
| ბრენდან შენაჰანი (37 გოლი+38 პასი), სერგეი ფიოდოროვი (31+37), ბრეტ ჰალი (30+33) | | მარკუს ნესლუნდი (40 გოლი+50 პასი), ტოდ ბერტუცი (36+49), ბრენდან მორისონი (23+44) |
| | **მიღწევები** | |
| თასის 9-გზის მფლობელი (ბოლო 1998) | | თასის ორგზის ფინალისტი (ბოლო 1994) |

ნჰლ-ში ხუმრობენ, დროა, დეტროიტის გასახდელში „დიდების დარბაზის" ფილიალი გავხსნათო. სადღეისოდ გუნდში 8 მომავალი „დიდი" თამაშობს. ერთი კია, „წითელფრთიანებმა" სეზონი სუსტად დაასრულეს მაშინ, როცა ვანკუვერმა ბოლო მატჩებში გაიბრწყინა. მიუხედავად ყველაფრისა, დეტროიტის შემადგენლობა გაცილებით დაბალანსებულია. ნურც მათ მეკარე დომინიკ ჰაშეკს დავივიწყებთ.

| კოლორადო (2) | „The Sporting News"-ის პროგნოზი: 4:2 | ლოს ანჯელესი (7) |
|---|---|---|
| | **ლიდერები** | |
| ჯო საკიკი (26 გოლი+53 პასი), კრის დრური (21+25), რობ ბლეიკი (16+40), პეტერ ფორსბერგი | | ზიგმუნდ პალფი (32 გოლი+27 პასი), ადამ დეედმარში (29+33), ჯეისონ ელისონი (19+55) |
| | **მიღწევები** | |
| თასის 2-გზის მფლობელი (ბოლო 2001) | | თასის ფინალისტი (1993) |

კოლორადოს პეტერ ფორსბერგი დაუბრუნდა! ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდის კოლორადოს ისედაც დიდ შანსებს. ჯო საკიკს უფრო მეტად სხვა მოთამაშეები უნდა დაეხმარონ. მართალია, შარშან კოლორადოს გაუჭირდა „მეფეთა" ძლევა, მაგრამ ამ სეზონში დენვერელებმა გაცილებით გააუმჯობესეს თამაში, ხოლო პატრიკ რუამ MVP-ს დარი ჩემპიონატი ჩაატარა.

| სან ხოსე (3) | „The Sporting News"-ის პროგნოზი: 3:4 | ფინიქსი (6) |
|---|---|---|
| | **ლიდერები** | |
| ოუენ ნოლანი (23 გოლი+43 პასი), ვინსან დამფუსი (20+38), ტეემუ სელიანე (29+25) | | დანიელ ბრიერი (32 გოლი+28 პასი), დეიმონ ლენგკოუ (27+35), კლოდ ლემიე (16+25) |
| | **მიღწევები** | |
| თასის მეოთხედფინალისტი | | თასის მეოთხედფინალისტი |

სან ხოსე ბოლო ხანს პლეი ოფს გაუშინაურდა და მრავალიც იმსხვერპლა. „ზვიგენებს" საპლეიოფო მებრძოლნი არ აკლიათ. თუმც ფინიქსმა ყველასთვის მოულოდნელად ამოყო პლეი ოფში თავი და იქნება ამას არც დასჯერდეს. ახალგაზრდა „კოიოტებს" ბრძოლა სწყურიათ. გარდა ამისა, მათ თანაბარძალოვანი შემადგენლობა ჰყავთ — ოთხივე სამეულს შეუძლია, მეტოქისთვის ყველაზე მოუხერხებელ დროს გაისროლოს.

| სენტ ლუისი (4) | „The Sporting News"-ის პროგნოზი: 4:2 | ჩიკაგო (5) |
|---|---|---|
| | **ლიდერები** | |
| კიტ ტკაჩუკი (38 გოლი+37 პასი), პაველ დემიტრა (35+43), დუგ უეიტი (15+34) | | ერიკ დაზე (38 გოლი+32 პასი), ტონი ამონტე (27+39), ალექსეი ჟამნოვი (22+45) |
| | **მიღწევები** | |
| თასის სამგზის ფინალისტი (ბოლო 1970) | | თასის 3-გზის მფლობელი (ბოლო 1968) |

ამ დუელში, ალბათ, მეკარეებზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. არც სენტლუისელ ბრენტ ჯონსონსა აქვს საპლეიოფო გამოცდილება და არც ჩიკაგოელ ჟოსლენ ტიბოს. ისინი წლეულს პირველად გახდნენ გუნდის ძირითადი მეკარეები. წარმოუდგენელია, ორივემ სერია უმაღლეს დონეზე ჩაატაროს. ამიტომ შედეგსაც წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორიგი

კვლავ მაიამი ბიჩი, საიდანაც მორიგი იახტა გადის გარსაქვეყნო ნაოსნობის მეექვსე ეტაპის დასაძლევად. ამ იახტას „სუნტო" ჰქვია. ჩვენ კი კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ მეექვსე ეტაპი 875 საზღვაო მილს მოიცავს და ბალტიმორის პირად, ამერიკაშივე დასრულდება. თავად სრული ნაოსნობა კი, რომელიც 32,700 საზღვაო მილის უკან მოტოვებას გულისხმობს, გერმანულ კეილში უნდა დასრულდეს.




REUTERS მაიამი ბიჩიდან




# წვიმა

ასე ბრაზობენ დეტროიტელი ქომაგები. იქაური „ჯო ლუის არენა" ყინული ბოთლებითა და სხვა გასამეტებელი საგნებითაა სავსე. საქმე კი ისაა, რომ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩში ადგილობრივ „წითელ ფრთებსა" და სენტლუისელებს შორის, სტუმართა კორი სტილმანს თამაშის ბოლოსწინა წუთზე გაუტანია გარდამტეხი გოლი და თანაც ისე, რომ ჯერ დეტროიტელთა მეკარე დომინიკ ჰაშეკისთვის კისერში დაუცხია ყვანჯი. ამ გოლის ჩათვლით ანგარიში 5:3 შექნილა სტუმართა სასარგებლოდ და ბოთლების წვიმაც წამოსულა.

# ქალმა ხელს აწერს



REUTERS ბრიუსელიდან

ბრიუსელში დიდი შეხვედრა გამართულა. ევროპის მოწინავე კლუბთა თავკაცებს ტელერეპორტაჟების უფლებათა საკითხებზე უმსჯელიათ. რა თქმა უნდა, „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგეც იქა ყოფილა და კვალი სასაჩუქრო ბურთებზე დაუტოვებია. ქალბატონი კი ევროპის კულტურისა და განათლების საქმეთა კომისარი ვივიან სიდინგი გახლავთ, რომელსაც ფეხბურთი არასოდეს უთამაშია, თუმცა ხსენებულ შეხვედრას ხელმძღვანელობდა და ავტოგრაფიც ამიტომ დატოვა ბურთზე.



# წამოაგო

ჰო გაუწყებდით, რომ სევილიის მაისტრიანსას წიდაზე კორიდა გახურებულა-თქო. გახურებულა და ხარებსაც მოსწყენიათ უსახელოდ სიკვდილი. მატადორი ენრიკე პონსე ისე წამოუგია ნახევარტონიან ხარს მარცხენა რქაზე, რომ ოცდაათი სანტიმეტრის სიღრმის ჭრილობა დაუტოვებია მის ჯიგარში. ხარს სხვა მორევია, პონსე კი საავადმყოფოში გაუქანებიათ.

# მინდორი და არაყი

ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში და ეს ამდენი კაციც იმიტომ ჩაფიქრებულა საიტამას სტადიონის მინდვრის კიდეზე, რომ ბალახს ამოწმებენ. სხვაგვარად არ გამოვა. ამასობაში კი ბურთი ლამის მთავარ საგნად ქცეულა ამომავალი მზის ქვეყანაში. იქაური ბრინჯის არაყი, საკეც კი ბურთის ფორმის ბოთლში ჩამოუსხამთ. ეს ლიტრიანი 19 დოლარი ღირს.




REUTERS




REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge